ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 28 დეკემბერი, 2023 №256 (9292) ფასი: 80 თეთრი

გვ.3

მყინვარწვერზე დაკარგული მთამსვლელი დალუპული იპოვეს

ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულია 112 პირი, აქედან 66 ნარკორეალიზატორი

გვ.3

„ოცნება“ მელიას, ხაზარაძესა და გახარიას, ბინძური კამპანიით, შავ დღეში ჩააგდებს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ამ არჩევნებზეც, როგორც სხვა არჩევნებზე, „ოცნება“ მთელ ოპოზიციას ერთ ქვაბში მოხარშავს და იტყვის, რომ ყველა ნაციონალია“

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებას კარგა ხანია გაჩაღებული აქვს კამპანია და ყველაფერს აკეთებს, რომ საკუთარი ამომრჩეველი კმაყოფილი ჰყავდეს. ოპოზიციას კი საერთოდ არ აქვს დღის წესრიგი“

რა საჭყუარას უმზადებს „ოცნება“ პარტიებს?!

„ნაცმოძრაობა ჯერ მხოლოდ იშლება, სხვა პარტიასთან გაერთიანების მცდელობაც არ ჩანს“

გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „თუ მოსახლეობა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს იმსახურებს, ე.ი. ხელისუფლებაც იმსახურებს. ოპოზიციის არასწორი ნარატივი გაქარწყლდა“

ანალიტიკოსები უკრაინაში ომზე პროგნოზებს აკეთებენ

გვ.4

გვ.4

უკრაინის წინააღმდეგ ომში კრემლმა კაზაკობაც ჩაითრია

ისტორიები

გვ.5

კირიონ II — ცხოვრება და მოღვაწეობა

გიორგი მამარდაშვილი ვალენსიას აქტივია

გვ.7

გვ.3

ვინ იყო სამხედრო, რომელიც თბილისში მოკლეს

2 რუსების ტყვეობაში თითქმის 2 წელია კიდევ ერთი ქართველი მებრძოლია

4 თეონა აქუბარდია: „ბიჭვინთის ფაქტობრივი ანექსია გაფორმდა“

6 10 წლის ბიჭმა დედის პისტოლეტით და სახეში დაჭრა

6 ლიტერატურული პრემია „მუზა“ საუკეთესოებს გადაეცათ

1993230720223

რა სატყუარას უმზადებს „ოცნება“ პარტიებს?

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებას კარგა ხანია გაჩაღებული აქვს კამპანია და ყველაფერს აკეთებს, რომ საკუთარი ამომრჩეველი კმაყოფილი ჰყავდეს. ოპოზიციას კი საერთოდ არ აქვს დღის წესრიგი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

—ბატონო მამუკა, ოპოზიცია აქტიურად განიხილავს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრუნების საკითხს, თუმცა, ექსპერტთა ნაწილს ამის ნაკლებად სჯერა. როგორ ფიქრობთ, სჭირდება „ოცნებას“ დღეს ივანიშვილის დახმარება? ან რას უკავშირდება ასე სასწრაფოდ დანიშნული პოლიტსაბჭოს სხდომა, რომელიც 30 დეკემბერს ჩანიშნეს? ელით ცვლილებებს?

— ნამდვილად გაუგებარი იქნება, ბიძინა ივანიშვილის ჩართვა საარჩევნო საკითხებში. ნამდვილად არა აქვს „ქართულ ოცნებას“ ასე საქმე. პირიქით, ძალიან ყოჩაღად არიან. ოპოზიციას არ აქვს პოზიტიური დღის წესრიგი, ის საკმაოდ დასუსტებულია. ეს მუდმივი რუსებად და მონებად მოხსენიება, უბრალოდ, აღარ მუშაობს. „ქართულ ოცნებას“ ხელში აქვს ისეთი ძლიერი ინსტრუმენტი, როგორიცაა ქვეყნის ბიუჯეტი, რომელიც, ამ რუსების შემოსვლის ხარჯზე, ბოლო წლებია შეივსო.

—ხელისუფლება აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიის პროცესშია და ოპოზიცია კი ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა, რა უნდა.

— ხელისუფლებას კარგა ხანია გაჩაღებული აქვს კამპანია და ყველაფერს აკეთებს, რომ საკუთარი ამომრჩეველი კმაყოფილი ჰყავდეს. ოპოზიციას კი საერთოდ არ აქვს დღის წესრიგი. ისიც კი არ იცის ოპოზიციამ, რით უნდა მოხიბლოს მოსახლეობა. კარგა ხანია ხალხსა და ოპოზიციას შორის კონტაქტი დაკარგულია. ხალხს არც სჯერა ოპოზიციის და არც რაიმე ხეირს ელიან მათგან. ოპოზიციაში ფული არ არის. კი გაიძახიან, მოგიმატებთ პენსიებსო, მაგრამ არ სჯერა ხალხს, რადგან როგორ, რანაირად? ამას ვერ ასაბუთებენ. დგანან და ლანძღავენ ხელისუფლებას და მარტო ლანძღვით, ფონს ვერ გავლენ.

— 9 დათქმა აქვს „ქართულ ოცნებას“ შესასრულებელი. ამ პროცესში საჭიროა ოპოზიციის ჩართულობაც. როგორ ფიქრობთ, მიიღებენ მონაწილეობას კომისიებში?

— მე ვნახე ეს 9 პუნქტი და ცოტა არ იყოს გამიკვირდა, რადგან ძალიან ზედაპირული და ძალიან არაკონკრეტულია და ხელისუფლების გეგმაც, რომელიც დაიდო, ისიც ძალიან არაკონკრეტულია. ამ ცხრიდან ერთ-ერთი პუნქტი არის, რომ ვენეციის კომისიისა და ეუთოოდირის რეკომენდაციების გათვალისწინება უნდა მოხდეს. „ოცნება“ აცხადებს, რომ უკვე შევასრულეთ და აღარ გავითვალისწინებთო. ასე რომ, დიდი მოლოდინი არ მაქვს, რომ რამეს შეასრულებენ. ამ ყველაფრის მიუხედავად, ოპოზიციამ მაინც უნდა იმუშაოს. ოპოზიციამ კეთილი ინებოს და აჩვენოს დასავლეთს, რომ ისინი მზად არიან თანამშრომლობისთვის.

— ბარიერს თუ დაწევენ?

— არ დაწევენ, რაში აწყობთ დაწევა?! აქ ნათლად ჩანს ხელისუფლების გეგმა.

— რაა მათი გეგმა?

— გეგმა ასეთია, დარჩეს ერთი-ერთზე ნაციონალურ მოძრაობასთან. ამ გადმოსახედიდან არც ჩანს, რომ ნაცების გარდა, ვინმე გადალახავს 5%-იან ბარიერს, მიუხედავად ამ ბაქიბუქისა, იმას ვიზამთ, ამას ვიზამთ, ვერაფერსაც ვერ იზამენ.

— გახარია? ვერც ის გადალახავს?

— მე არ მგონია, რომ გახარია შეძლებს გადალახვას. ამბიციებს არავინ თმობს, ყველა იძახის, რომ მოდით და ჩემ გარშემო შეიკრიბეთ. ერთადერთი ვისაც გადალახვის რეალური შანსი აქვს, არის ნაციონალური მოძრაობა და ისიც იძახის, რომ მოდით ჩვენთან. კანონმდებლობაშიც არის სერიოზული პრობლემა. ბოლო დროს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ვერ გაერთიანდებით, თუ ერთობა გინდა, უნდა ამოეწერო შენი პარტიიდან და ჩაეწერო სხვის პარტიაში, დათმო ყველაფერი. არ უნდა ამის გაკეთება არავის.

— რას იზამს ნიკა მელია? ადრე „ლელოსთან“ თანამშრომლობაზე იყო საუბარი, ახლა აცხადებენ, სრულიად მარტო გავალთო. რა შანსები აქვთ?



— არანაირი შანსი არ აქვს მარტო თუ გავა. ჯერ ადრეა რაიმეზე ლაპარაკი, ყველა დაკავებულია საახალწლო სამზადისით. დაახლოებით თებერვლიდან დაიწყება რაღაც მოძრაობები, იანვარი საერთოდ დავივიწყოთ, არაფერი იქნება. რეალური სურათი კი გაზაფხულზე — მარტ-აპრილში გამოჩნდება.

— რა უნდა მოხდეს? რამ უნდა შეცვალოს სიტუაცია? ყველა თანხმდება, რომ ამ განლაგებით, ოპოზიციის ამ რეიტინგით, „ოცნება“ რჩება ხელისუფლებაში. რა გადატეხავს სიტუაციას?

— არაერთხელ მაქვს ნათქვამი, ყველა მინუს ორი! უნდა მოხდეს გაერთიანება. გაერთიანდეს ყველა, მინუს ნაცები და ქოცები! თუმცა, საქართველოში, იმდენად ამბიციური ოპოზიცია გვყავს, რომ ამ ამბიციას არავინ დათმობს. ურჩევნიათ დარჩნენ ბარიერს მიღმა, ვიდრე ვიღაცასთან გაერთიანდნენ.

— მაშინ რა იქნება? ისევ ნაც-ქოცური პარლამენტი?

— ალბათ, კი. ახლა, საუბარია იმაზეც, რომ ვინც ვერ გადალახავს ბარიერს, მაგრამ გადალახავს 1-2%-ს, ისინი მიიღებენ დაფინანსებას. შესაბამისად, ეს იქნება სატყუარა ამ ხალხისთვის, რომ ქუჩაში არ გამოვიდნენ, მისცემენ დაფინანსებას და ეტყვიან, იყავით თქვენთვის, ჭკვიანად.

— საუბარია, რომ „ოცნების“ პოლიტსაბჭოზე კუჭავასა და ტიკარაძის გარიცხვა იგეგმებაო. სხვა სიურპრიზს თუ უნდა ველოდოთ? სჭირდებათ ცვლილებები, ახალი სახეები?

— არაფერში არ სჭირდებათ. ზოგადად, ალოგიკური რაღაცები სჩვევიათ ხოლმე და შეიძლება უცბად რაღაც გამოვარდეს. 2024 წელი იქნება ძალიან ნეიტრალური წელი. ყველა დაკავებულია არჩევნებით. მარტო საქართველოს არ ვგულისხმობ, რუსეთი, ამერიკა, ევროკავშირი.

— ჩვენთვის არავის ეცლება?

— რა თქმა უნდა. „ოცნებასაც“ აწყობს ეს სიტუაცია. მშვიდად და ექსცესების გარეშე უნდა მივიდეს არჩევნებამდე. მე არ მგონია, რომ უცებ სიტუაციის აფეთქებები დაიწყოს. ჯერ-ჯერობით, უკრაინის უპირატესობაც ვერ გამოიკვეთა. მე არც იმას გამოვრიცხავ, მუშაობდნენ იმაზე, რომ ახლა რა სიტუაციაშიც არიან, ასე დაზავდნენ და ცეცხლი შეწყდეს. ამიტომ 2024-ში არ ველოდები რაღაც განსაკუთრებულ მოვლენებს, რაც ამ სიტუაციას შემოაბრუნებს.

— უკრაინა ახსენეთ და საუბრის ბოლოს აფხაზეთში მიმდინარე სიტუაციაც შევაფასოთ. აფხაზურ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვაა, რუსეთისთვის ბიჭვინთის აგარაკების გადაცემის გამო. რამდენად ელოდებით მასობრივ საპროტესტო ტალღას?

— მესმის, რომ ჩვენ ძალიან გვინდა, იქაურმა საზოგადოებამ ხმა ამოიღოს და წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს, მაგრამ არაფერიც არ იქნება. ზოგადად, ისტორია გვიჩვენებს, რომ მოვლენების გამწვავება უმთავრესად დაკავშირებულია ხოლმე გარედან რაღაც ცეცხლის შენთებასთან. თუ გარედან არ მიეხმარე მოძრაობას, ისე არაფერი გამოვა. ჩვენ მაგის არც დაზვერვა გვყავს და არც შესაძლებლობები გვაქვს. ამიტომ არც არაფერი იქნება საბოლოო ჯამში. ცოტას იხმაურებენ და გაჩუმდებიან.

— ანუ მარტივად ჩაიგდო რუსეთმა ხელში ეს ქონება?

— მარტივად ჩაიგდეს ჯერ კიდევ 1991-ში. მე ახლა არც იმას გამოვრიცხავ, რომ საერთოდ ანექსირებაზე გადავიდნენ. ეს ნაბიჯი იყო კბილის მოსინჯვა, ანექსირება მარტივად ჩაივლის თუ არ ჩაივლის, გაძალიანდებიან თუ არა აფხაზები. ხშირად აკეთებს ხოლმე რუსეთი ასეთ დატესტვებს. მათ მთლიანად სჭირდებათ აფხაზეთი.

რუსების ტყვეობაში თითქმის 2 წელია კიდევ ერთი ქართველი მებრძოლია

რუსეთი საქართველოს მოქალაქის, უკრაინაში მებრძოლი მამუკა გაწერელიას „გასამართლებას“ გეგმავს. მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დასრულდა. რუსეთი ქართველ მებრძოლს, რომელიც მარიუპოლს იცავდა, სულ მცირე 4 რუსი სამხედროს მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებს.

„მამუკა გაწერელია ტყვედ 2022 წლის 20 მაისს, „აზოვსტალის“ დატოვების დროს ჩავარდა. როგორც „ამერიკის ხმა“ წერს, გაწერელიების ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია და აქამდე, მებრძოლის ტყვეობის ამბავს არ ახმაურებდა.

— წელიწადი და რვა თვეა, ტყვეობაშია, ჯერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჰყავდათ, ვიცი, რომ აწამებდნენ და სცემდნენ. შემდეგ, რუსეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ამჟამად, ვლადიმირის ოლქში, ქალაქ კოვროვთან, ერთ-ერთ ციხე-კოლონიაში ჰყავთ. გავიგე, რომ ფილტვების ანთება გადაუტანია და ახლა შედარებით უკეთ არისო. სხვა არაფერი ვიცი. დახმარებისთვის წერილი მივწერე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, თბილისში შევხდი უკრაინის საელჩოს სამხედრო ატაშეს. ჯერ-ჯერობით, საიმედოს ვერაფერს მეუბნებიან, — უთხრა „ამერიკის ხმას“ მამუკა გაწერელიას დედამ დალი ჩხეიძემ.

20 წლის მამუკა გაწერელია უკრაინაში რუსეთის საოკუპაციო ჯარის შეჭრიდან მალევე, მოხალისედ შეუერთდა უკრაინის დამცველებს. მამუკას მამა ასევე იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის.

— სწამდა, რომ ეს იყო ბრძოლა საქართველოსთვის. შემდეგ, როცა მარიუპოლში ვითარება გართულდა, ასევე საკუთარი ინიციატივით შეუერთდა „აზოვსტალის“ დამცველებს. 8 დეკემბერს, ტყვეობაში 22 წლის გახდა, — ამბობს მებრძოლის დედა. შეგახსენებთ, ამ დრომდე ოკუპანტების ტყვეობაში იმყოფებიან ქართველი მებრძოლები — გიორგი გოგლიძე და გიორგი ჩუბითიძე.

ოთარ შამუგია: „შავი ზღვის დაბინძურებისთვის სანქცია მკაცრდება“

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას განცხადებით, რიგ გარემოსდაცვით სამართალდარღვევაზე სანქციები მკაცრდება.

შესაბამისი განცხადება მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ კომენტარის დროს გააკეთა.

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც გარემოს დაბინძურების შემცირების მიმარულებით, ისე ბრაკონიერობასთან ბრძოლის კუთხით ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა. შავი ზღვის დაბინძურებისთვის სანქცია მკაცრდება — 65.000-ლარიანი ჯარიმა იზრდება და ხდება 100.000 ლარი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბრაკონიერობასთან ბრძოლის კუთხით ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა, სხვა გარემოსდაცვით კანონმდებლობის დარღვევებთან მიმართებაში პრევენცია.

სწორედ აქედან გამომდინარე გვიწევს გარკვეული ზომების მიღება სანქციების გამკაცრების მიმართულებით. ძალიან აქტიურად ვახორციელებთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გადაიარაღებასა და ტექნიკურ აღჭურვას, რათა მათი მუშაობა იყოს უფრო ეფექტიანი; მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, პრევენცია და წელს უკვე რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, უკანონო ტყითსარგებლობის, მოპოვების, ტრანსპორტირების მიმართულებით გავამკაცრეთ სანქციები. ეს ყველაფერი ემსახურება ბიომრავალფეროვნების მაქსიმალურ დაცვას, — განაცხადა ოთარ შამუგიამ.

უწყების ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის დაბინძურების ფაქტების უმეტესობა ჩადენილია საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემების მიერ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ გასულ წელს გამოვლენილი 63 სამართალდარღვევიდან, 21 სწორედ გემების მიერ შავი ზღვის დაბინძურების ფაქტია. 2023 წელს კი, დღეის მონაცემებით, გამოვლენილია 65 სამართალდარღვევა. მათგან 16 შემთხვევაში ზღვა გემებიდან დაბინძურდა.

— შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზით დადგინდა, რომ ამ ქვეყნებში, საქართველოსთან შედარებით, მკვეთრად მაღალი საჯარიმო სანქციებია. შესაბამისად, შავი ზღვის ქვეყნებთან ზღვის დაბინძურების კუთხით საჯარიმო სანქციების ჰარმონიზების მიზნით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შავი ზღვის დაბინძურებისთვის საჯარიმო სანქციის გაზრდას — 65 ათასი ლარიდან 100.000 ლარამდე იზრდება ჯარიმა გემებიდან, სხვა მცურავი საშუალებებიდან, პლატფორმიდან, მილსადენებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში მავნე, დამაბინძურებელი ნივთიერებების, საწარმოო, ტექნიკური ან სხვა სახის ნარჩენების ან და მასალის ჩაღვრა (ჩაყრა, ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურებაზე, — ნათქვამია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულია 112 პირი, აქედან 66 ნარკორეალიზატორია

შსს-ს ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, აჭარის, შიდა ქართლის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 112 პირი დააკავეს, მათ შორის 66 ნარკორეალიზატორია.



დაკავებულებს შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, უკრაინის, ინდოეთის, ირანის, რუსეთის, იორდანიის, ეგვიპტისა და ერიტრეას მოქალაქეები.

დანაშაულები 20-წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვინ იყო სამხედრო, რომელიც თბილისში მოკლეს

„მთავარი არხის" ინფორმაციით, თბილისში მოკლული 42 წლის სამხედრო ლადა გუჯეჯიანია. ის 26 დეკემბერს, წულუკიძის ქუჩაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდებარედ, 40-წლამდე კაცმა მოკლა, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე სამხედროა.

არსებული ინფორმაციით, გუჯეჯიანი სახლიდან გამოიყვანეს და ცეცხლსასროლი იარაღით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკლეს. მიყენებული ჭრილობებით ის ადგილზე დაიღუპა.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა შესაძლოა ეჭვიანობას უკავშირდებოდეს.

მკვლელობაში ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ცხელ კვალზე დააკავეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ავარია ორთაჭალაში — დაშავებულია 11 ადამიანი

თბილისში, ორთაჭალაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომანქანა და მიკროავტობუსი შეეჯახნენ. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 11 ადამიანი დაშავდა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

მყინვარწვერზე დაკარგული მთამსვლელი დაღუპული იპოვეს

მთამსვლელი, რომელსაც მაშველები მყინვარწვერზე ეძებდნენ, გაყინული იპოვეს.

დაკარგული მამაკაცი მყინვარწვერის ფერდობზე სასრიალოდ იყო წასული, თუმცა, ჯგუფს მოშორდა, რის შემდეგაც მისი კვალი დაიკარგა. სამაშველო ოპერაცია სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სამძებრო სამუშაოებში ჩართულები იყვნენ როგორც მაშველები, ასევე მოხალისე მთამსვლელთა ჯგუფები.

„ოცნება" მელიას, ხაზარაძესა და გახარიას, ბინძური კამპანიით, შავ დღეში ჩააგდებს"

ვახტანგ ძაბირაძე: „ამ არჩევნებზეც, როგორც სხვა არჩევნებზე, „ოცნება" მთელ ოპოზიციას ერთ ქვაბში მოხარშავს და იტყვის, რომ ყველა ნაციონალია"

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო ვახტანგ, მამუკა ხაზარაძემ თქვა, რომ ნიკა მელიასთან სტრატეგიულ პარტნიორობას აპირებს. ამოცანა კი, კოალიციური მთავრობის ფორმირებაა. მომავალ წელს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებს ოპოზიცია, ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს?

— ოპოზიცია ძალიან რთული ამოცანის წინაშე დგას. თუ ასე გაგრძელდება და არაფერს გააკეთებენ, არ გადალაგდებიან, არ ჩამოყალიბდებიან, თუ რა უნდათ, მაშინ, როგორც ყველა წინა არჩევნებზე, იგივე მოხდება.

— „ოცნება" გაიმარჯვებს?

— რა თქმა უნდა! თქვენ თქვით, ანგარიშგასაწევ ძალად რომ იქცნენ, ამისთვის აუცილებელია გადალაგდნენ, ასე ვერაფერს გახდებიან. კონკრეტულად როგორ დალაგდებიან, დღეს ამაზე საუბარი რთულია.

ხაზარაძემ მელიასთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე ისაუბრა. ეს უფრო არჩევნებში ცალ-ცალკე მონაწილეობას ნიშნავს, ვიდრე გაერთიანებას. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ხაზარაძესთან სიაში იყოს მელია თავისი რამდენიმე კვოტით. რამდენიმე ვარიანტია და რომელზე გააკეთებენ არჩევანს, ეს მათი გადასაწყვეტია. თუმცა, ჯერ ნიკა მელიამ პარტია უნდა ჩამოაყალიბოს ან შეიძლება, არც აპირებს პარტიის შექმნას და თავის მომხრეებთან ერთად სწორედ „ლელოს" ქოლგის ქვეშ გავა არჩევნებზე. ვერ გეტყვით.

— პარტიის შექმნის შემთხვევაში მელიას შანსები როგორია? 5-პროცენტიან ბარიერს გადალახავს?

— გადალახავს. დღეს არსებული მოცემულობით ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეს. ნიკა მელია ნაციონალურ მოძრაობას უყოფს ხმებს. მისი ამომრჩეველი ნაციონალების ყოფილი ამომრჩეველია. ის ამომრჩეველი, რომელიც პარტიაში მიმდინარე პროცესებზე არის გაბრაზებული და იმედგაცრუებული. ეს ხალხი მელიამ თავისკენ წაიყვანა. თუმცა, სანამ ის პარტიას არ შექმნის, რთული სათქმელია, რას იზამს, რა შედეგებს დადებს. პარტია მარტო მელია ხომ არ არის?! ვინ იქნება მის გვერდით, რა ხალხი, როგორი იქნება სამოქმედო პროგრამა, გეგმა, ვისთან ერთად აპირებს გასვლას არჩევნებზე ან მარტო გავა თუ რას იზამს, ამ ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს.

— რამდენად იმუშავებს 2024 წლის არჩევნებზე აქამდე კარგად აპრობირებული მეთოდი — თუ ჩვენ არ აგვირჩევთ, ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება?

— როგორც ჩანს, იმუშავებს. ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების" სიტუაციური მოკავშირეა. ამიტომაც არის ყველა, მათ გარდა, ნაციონალური მოძრაობა. ვინც არის, ან ვინც უნდა გამოჩნდეს პოლიტიკურ არენაზე არის და იქნება ნაციონალი. როდესაც „ოცნებამ" გვითხრა, გახარია ნაციონალია, უკვე ყველაფერი გასაგები იყო. ამიტომ ამ არჩევნებზეც, როგორც სხვა არჩევნებზე, „ოცნება" მთელ ოპოზიციას ერთ ქვაბში მოხარშავს და იტყვის — ყველა ნაციონალია და მათი ხელისუფლებაში მოსვლა ნიშნავს ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას.

— სიტუაციური მოკავშირეობა რომ არ შედგეს, რა უნდა ქნას ოპოზიციამ?

— ისეთი პატარ-პატარა ერთობები უნდა შეიქმნას, როგორიც, მაგალითად, ხაზარძე, მელია, გახარია ან ნებისმიერი სხვა პარტიული



ერთობაა. მართალია, „ოცნება" მაინც იტყვის, ყველა ნაციონალია, მაგრამ გარკვეული მცდელობა ოპოზიციას უნდა ჰქონდეს. ასეთი დაყოფილი და ჩამოუყალიბებელი არ უნდა იყოს. ერთი სიტყვით, „ოცნება" ეცდება, ყველა ოპოზიცია, რომელიც 5-პროცენტიან ბარიერს გადალახავს, სიტუაციურ მოკავშირედ აქციოს, მაგრამ მათაც უნდა შეძლონ რეალური დაპირისპირება.

— გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნება" ისევ ებრაული პიარკომპანიის ჩამოყვანას გეგმავს. ნეგატიურ წინასაარჩევნო კამპანიას შემოგვთავაზებენ?

— დიახ, დარწმუნებული ვარ, ძალიან მძიმე, ბინძური წინასაარჩევნო კამპანია იქნება.

— ოპოზიციის რაღაც ნაწილი იქადნის, მოშე კი არა, ბიბლიური მოსეც რომ ჩამოიყვანონ, არაფერი უშველითო...

— ეს მხოლოდ ქადილია მათი მხრიდან. მგონია, რომ ძალიან აგრესიული და ბინძური კამპანია ლიდერების მიმართ იქნება. მელიას, ხაზარძეს, გახარიას, ალბათ, შავ დღეში ჩააგდებენ. მკვეთრად პერსონიფიცირებული იქნება მთელი კამპანია. ცხდაია, უარყოფით კონტექსტში. ძალიან ნეგატიური, ბინძური, მძიმე წინასაარჩევნო კამპანია იქნება.

„ნაცმოძრაობა ჯერ მხოლოდ იშლება, სხვა პარტიასთან გაერთიანების მცდელობაც არ ჩანს"

დათო ლორთქიფანიძე: „თუ მოსახლეობა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს იმსახურებს, ე.ი. ხელისუფლებაც იმსახურებს. ოპოზიციის არასწორი ნარატივი გაქარწყლდა"

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის" კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან" დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

— ბატონო დათო, როგორ აფასებთ განვლილ 2023 წელს? პოლიტიკური ცხოვრება როგორ წარიმართა და როგორი შედეგები მივიღეთ?

— პოლიტიკური ცხოვრება განისაზღვრება იმით, თუ რა შედეგი დადგა ქვეყნის განვითარების მიმართულებით. საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, რაც ხელისუფლების მუშაობის პოზიტიურ შედეგზე მიუთითებს და პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნების" დამსახურებაა.

— ოპოზიცია რომ ამბობს, კანდიდატის სტატუსი ხელისუფლების კი არა, ხალხის დამსახურებაა?

— ოპოზიციური პარტიები ხელისუფლების დამსახურებას აკნინებენ. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. საქართველომ კანდიდატის სტატუსი ჩვენი ხელისუფლების პირობებში მიიღო. ისინი კი ოკეანის გაღმა კაბინეტებში დადიოდნენ და ამბობდნენ, საქართველოს ხელისუფლება კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებს, საქართველოს მოსახლეობა იმსახურებსო. ეს აზრები ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელია.

მოსახლეობამ მმართველი ძალა უმრავლესობით აირჩია. აქედან გამომდინარე, თუ მოსახლეობა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს იმსახურებს, ე.ი. ხელისუფლებაც იმსახურებს. ოპოზიციის არასწორი ნარატივი გაქარწყლდა.

ევროკომისრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი საჩუქრად არ მიუღია. ეს გატარებული რეფორმების შედეგი იყოო. ასე რომ, ამ კუთხით მმართველი პოლიტიკური ძალის მუშაობა აშკარად პოზიტიურია.

— ზოგადად, ოპოზიციას როგორი წელი ჰქონდა?

— ოპოზიციას ძალიან მძიმე წელი ჰქონდა. განსაკუთრებით მას, პირველ ოპოზიციურ ძალას რომ უწოდებენ. ვხედავთ, ამ პარტიის რღვევა მიდის, იშლებიან და თვითონაც არ იციან, ხვალ რა იქნება.

— ამბობთ, იშლებიანო, მაგრამ ციხეში მყოფი მათი ლიდერი ახალ გეგმებს სახავს. ოპოზიციური ძალების გამაერთიანებელი კომიტეტის შექმნას ფიქრობს.

— მიხეილ სააკაშვილის ქმედებებზე (ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი) სერიოზული კომენტარის გაკეთება უხერხულია.

— რატომ? მშვენიერ გონებაზეა. ფიზიკურადაც კარგად გამოიყურება.

— სხვა რამეს ვამბობ. ის საქართველოს მოქალაქე არ არის. საქართველოს კანონმდებლობა უცხო ქვეყნის მოქალაქეს პოლიტიკურ საქმიანობას, საქართველოს შიდა საარჩევნო საქმიანობაში ჩარევას უკრძალავს.

არჩევნები ჯერ დანიშნული არ არის, მაგრამ დღეს მიშა თავისუფლების აღკვეთის ადგილშია და პოლიტიკური მითითებები, რომელსაც თავისი პოლიტიკური ძალის მიმდევრებს აძლევს, რეალობას აცდენილია.

— მიშა საქართველოს მოქალაქე არ არის, მაგრამ ხაზარაძე ხომ არის. ხაზარაძე აცხადებს, რომ ხელისუფლების გადასაბარებლად ემზადება. უნდა დაამარცხოს, როგორც დღევანდელი მმართველი პარტია, ასევე ნაცმოძრაობა. არ ელოდებით, რომ ხაზარაძემ შეიძლება გაიმარჯვოს?

— არა, ხაზარაძის გამარჯვებას მე ნამდვილად არ ველოდები, თუმცა, ხაზარაძეს განცხადების გაკეთების უფლება აქვს. მით უფრო, ვიღაცვიღაცების დამარცხება რომ უნდოდეს, ამაში მიუღებელი არაფერია, მაგრამ მისი განცხადება რეალობასთან ახლოს არ არის.

— რატომ, ხომ შეიძლება ოპოზიციური ძალები შემოიკრიბოს და ძლიერი შეტევა განახორციელოს?

— ჩვენ ახლა დღევანდელი მოცემულობიდან ამოვდივართ. ახლა მის ირგვლივ ვინც არიან, მათ ნამდვილად არ აქვთ ის პოლიტიკური დივიდენდი, რომელიც გამარჯვებისთვის საკმარისი იქნება. მეტ-ნაკლებად შემდგარი პოლიტიკოსები არიან (მათ გვარსა და სახელს არ დავასახელებ), მაგრამ მათი რესურსი აშკარად საკმარისი არ არის მქუხარე გამარჯვების მოსაპოვებლად. განსაკუთრებით, მმართველი პოლიტიკური ძალის დასამარცხებლად.

2024 წლის ოქრომბრამდე ნაცმოძრაობასა და მის განაყოფებში რა მოხდება, ამის წინასწარ განჭვრეტა რთულია. ვითარება შეიძლება დიდი სიჩქარით შეიცვალოს.

— ვითარება როგორ შეიძლება შეიცვალოს, გაერთიანებისკენ? ნაცმოძრაობა და მისი განაყოფები შეიძლება გაერთიანდნენ?

— ჯერჯერობით, მე მათი გაერთიანებისკენ მიდრეკილებას ვერ ვხედავ. მხოლოდ იშლებიან. შეიძლება, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ერთად დადგომის მცდელობა ჰქონდეთ, ამისთვის მინიმუმ 5%-იანი ბარიერის გადალახვაა აუცილებელი.

კანონმდებლობით, მომავალ არჩევნებში ბლოკები არ არის დაშვებული. ამიტომ თითოეულმა პოლიტიკურმა ძალამ ბარიერი ინდივიდუალურად უნდა დაძლიოს, რაც ყველას არ ხელეწიფება. ბარიერს მაქსიმუმ 2-3 პოლიტიკური ძალა გადალახავს. მათ შორის, მმართველ პოლიტიკურ ძალას არ ვგულისხმობ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ანალიტიკოსები უკრაინაში ომზე პროგნოზებს აკეთებენ

მარიამ მჭედლიშვილი

თებერვალში ორი წელი გახდება უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ. ახლანდელი სიტუაცია ფრონტზე უკრაინისთვისაც და რუსეთისთვისაც მძიმეა.

ვითარებას ჩეხურ მედიასთან აფასებენ ჩეხი და ბელარუსი ექსპერტები.

საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი, ჩეხი მიხალ სმეტანა:

– უკრაინის ძალები რუსეთის ძალების მოგერიებისას მთლიანად დამოკიდებულია დასავლელ პარტნიორებზე. დასავლეთის დახმარება მოიცავს შემდეგ სფეროებს: იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სხვა მასალების მიწოდებას; უკრაინელი ჯარისკაცების მომზადებას; ტექნოლოგიურ დახმარებას; სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემას; ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების გაწევას, რომელიც უკრაინას შესაძლებლობას აძლევს, იცხოვროს ინტენსიური კონფლიქტის პირობებში.

თავდაცვაში ამჟამად არტილერიის ჭურვების ნაკლებობა შეინიშნება. გაურკვევლობაა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებისთვის საბრძოლო მასალების მოწოდების მხრივ.

თუ დასავლეთის დახმარება შეწყება, ამას ფრონტზე სწრაფად იგრძნობენ. თუ არ იქნება დასავლეთიდან დახმარების მიღების შესაძლებლობა, უკრაინის ხელმძღვანელობა, გარკვეული ხნის შემდეგ, დაფიქრდება კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებაზე კრემლთან მოლაპარაკებების სახით. აშკარაა, რომ ასეთი მოლაპარაკებების დროს კიევს მოუწევს რუსეთთან პრინციპულ დათმობებზე წასვლა.

ექსპერტი ჰიბრუდულ საფრთხეებში, ჩეხი ვოიტეხ ბაგენსკი:

– თუ განვითარდება ყველაზე ნეგატიური სცენარი, ანუ ამოიწურება აშშ-სა და ევროკავშირის დახმარება, ამას შეიძლება ფატალური შედეგი მოჰყვეს უკრაინისა და მისი თავდაცვისათვის. არსებობს ეკონომიკური მხარე – უკრაინა იმედს ამყარებს მოკავშირეების ფინანსურ დახმარებაზე. უკრაინის ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა გათვლა, რომ ფინანასური დახმარება უზრუნველყოფს უკრაინის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარს. ამის შეფასება ეკონომისტების საქმეა. მე ის შემიძლია ვთქვა, რომ ამ სცენარის შემთხვევაში უკრაინას არ ექნება საზღვარგარეთ იარაღისა და საბრძოლო მასალების შეძენის საშუალება.

თუ დახმარება სრულად შეწყდა, უკვე 2024 წელს დაიწყება სერიოზული პრობლემები საბრძოლო მასალების მხრივ. ფრონტზე კოლაფსი შეიძლება არ მოხდეს, მაგრამ ეს გამოიწვევს უკრაინის ძალების პოზიციების გაუარესებას და დიდ დანაკარგს.

პოლიტიკის ანალიტიკოსი, ბელარუსი ალექსანდრ კლასკოუსკი:

– ვლადიმირ პუტინს გაეზრდება იმპერიული მადა. ის დაიწყებს ძალების მოგროვებას მოლდოვაზე ან ბალტიის ქვეყნებზე დარტყმების მისაყენებლად.

უკრაინის წინააღმდეგ ომში კრემლმა კაზაკობაც ჩაითრია

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინის ფრონტზე კრემლს ოფიციალური არმიის გარდა, სხვა დაჯგუფებებიც ჰყავს მივლინებული. ცნობილი „ვაგნერი" (ამბოხების შემდეგ ეს კომპანია აღარ იბრძვის) ამის მაგალითია. უკრიანელების წინააღმდეგ იბრძვიან რუსეთში მცხოვრები კაზაკები. მათი უმრავლესობა რუსეთის სამხრეთში ცხოვრობს. ოკუპირებულ აფხაზეთშიც არსებობს კაზაკთა გაერთიანება. აფხაზეთის კაზაკობა ქართველების წინააღმდეგ „ომში გამარჯვებას" დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს ხოლმე.

კაზაკების მონაწილეობაზე უკრაინის ომში რუსული რადიო „თავისუფლების" კავკასიის რედაქციასთან საუბრობს კაზაკების საკითხთა მკვლევარი, ამერიკელი პროფესორი **რიჩარდ არნოლდი.**

– რუსეთის კაზაკობა საკმაოდ მრავალფეროვანია. შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ კაზაკებმა არათუ მხარი დაუჭირეს რუსეთის შეჭრას უკრაინაში, არამედ ამაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს?

– რეესტრირებული (დარეგისტრირებული) კაზაკები კრემლის მიერ ორგანიზებული ჯგუფია. ეს ადამიანები შეიძლება არ იყვნენ დაკავშირებული კაზაკობასთან, ასევე წარსულში ეთნიკურ კაზაკებთან. ისინი თავიდანვე მიესალმნენ უკრაინაში შეჭრას.

ნიკოლაი დოლუდამ, რომელიც რეესტრირებული (რეესტრში შეყვანილი) კაზაკების ლიდერი იყო, იცოდა უკრაინაზე თავდასხმის გეგმების შესახებ. მან შეჭრამდე ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა: კაზაკებო, კიდევ მოგიწევთ იყოთ რუსეთის ინტერესების საყრდენიო.

ეთნიკური კაზაკების რაოდენობა 5 მილიონია. აქედან, სამხედროა 5-დან 6 ათასამდე კაცი. ოფიციალური მონაცემებით, უკრაინაში იბრძვის 25.000 რეესტრირებული კაზაკი.

– ომში კაზაკების ჩასათრევად რა გზებს მიმართავს რუსეთის სახელმწიფო?

– პირველ რიგში, ფინანსურ სტიმულს. იქმნება სხვადასხვა სამხედრო შენაერთი. მაგალითად, ორგანიზაცია „ბარსი" (ქვეყნის არმიის საბრძოლო რეზერვი). მეორე მხრივ, კაზაკებს აქვთ იდეოლოგიური სტიმული.

– კაზაკები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ჰიბრიდულ აგრესიაში უკრაინაში 2014 წელს. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ეს კაზაკების „პარამილიტარულ წარმონაქმნად" გადაქცევის საკვანძო მომენტად?

– რუსეთის კაზაკთა ორგანიზაციები ყოველთვის ლოალურნი იყვნენ პუტინის, ასევე რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. მათ არჩევანის უფლება რომ ჰქონოდათ, ზოგიერთი მათგანი გააზრებულად გამოხატავდა ლოიალურობას პუტინის, ან პირობითი „მეფის" მიმართ. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება მეფესა და კაზაკებს შორის დამახასიათებელია რუსეთისთვის. კაზაკები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს წესრიგის დამყარებაში იმპერიულ ხანაში.

1990-იან წლებში თავიდან კაზაკები ოპოზიციაში ჩაუდგნენ მთავრობას. სულ „ზემოთ" იხილებოდა დონის ავტონომიის საკითხი, ხოლო კაზაკთა ლიდერმა კოზიცინმა ჯოხარ დუდაევთან დადო შეთანხმება.

1995 წელს შეიქმნა კაზაკთა სახელმწიფო რეესტრი. ამგვარი რამ რუსეთში ადრე არ ყოფილა. კაზაკების რეესტრი პოლონეთში არსებობდა. რუსეთში რეესტრის შექმნის მიზანი იყო კაზაკების გაშვება სახელმწიფო სამსახურში.

უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ პუტინმა ან ვინმემ მისი გარემოცვიდან დაინახა „მცოცავი" დასავლური ლიბერალიზმის წინააღმდეგ „იდეოლოგიური ბასტიონის" ჩამოყალიბების შანსი. კაზაკებს უფლებამოსილებები გაუზარდეს.

2012 წელს მოულოდნელად გაფართოვდა კონტრაქტები კაზაკურ საბრძოლო ჯგუფებსა და „ფსბ"-ს ადგილობრივ ორგანოებს შორის. კაზაკები მათ ეხმარებოდნენ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, ბუნების დაცვაში და სხვა.

ამის შემდეგ კაზაკები სხვა პროცესებში ჩართეს. მათ შორის, ყირიმის დაპყრობაში. ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი კაზაკების მხრიდან რუსეთშიც და მის ფარგებს გარეთაც იყო 2017 წელს ნავალნის (ოპოზიციონერი ლიდერი) და მისი მომხრეების დევნა.

„ნაცმოძრაობა ჯერ მხოლოდ იშლება, სხვა პარტიასთან გაერთიანების მცდელობაც არ ჩანს"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მმართველ პოლიტიკურ ძალას პრობლემა არ აქვს, ოპოზიციას ძალიან დიდი უპირატესობით ამარცხებს.

– 2024, როგორც საარჩევნო წელი, როგორი იქნება?

– 2024, როგორც საარჩევნო წელი, ძალიან საინტერესო იქნება. ჩვენ სამხრეთული ქვეყანა ვართ. ხშირ შემთხვევაში ემოციები განაპირობებს საზოგადოების განწყობას. ამიტომ, ვფიქრობ, პოლიტიკურად ძალიან საინტერესო წელი გველოდება.

– 2023-ში უარყოფითი რა იყო, რამაც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენა მოახდინა?

– მე გვერდს ვერ ავუვლი იმას, რაც ჩვენს ე.წ. გამყოფ ზოლთან ხდება. გვერდს ვერ ავუვლი გინტურის სამწუხარო მკვლელობას. ადამიანი ჩაცხრილეს და დამნაშავეები დასჯილები არ არიან.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ, გადაჰყავთ ოკუპირებული ტერიტორიის ე.წ. სამართალდამცავ ორგანოებში. მადლობა ღმერთს, რომ მათი უმრავლესობა თავის ოჯახს მალე უბრუნდება. ოკუპაცია პრობლემაა.

– მუდმივი პრობლემაა.

– პრობლემა და ნეგატივია. როდესაც ადამიანს იმის საშუალება არ აქვს, თავისი წინაპრების სასაფლაოზე ავიდეს, მოილოცოს. ვიღაცების ხუშტურებზეა დამოკიდებული, სასაფლაოზე აგიშვებენ თუ არა, ეს არის ძალიან სერიოზული გამოწვევა ჩვენი ხელისუფლებისთვის.

სალომე ზურაბიშვილი: „მკაცრად ვგმობ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილის მითვისებასა და მისი მცოცავი ანექსიის პოლიტიკას"

– მკაცრად ვგმობ, რუსების მიერ საქართველოს მიწების მორიგ მიტაცებასა და მცოცავი ანექსიის პოლიტიკას. ხალხის ძლიერი რეაქცია, რომელსაც ჩვენ ბიჭვინთის აგარაკის გადაცემის გარშემო ვხედავთ, ოკუპაციის პირდაპირი შედეგია. მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას ძლიერი და სასწრაფო რეაგირებისკენ, – პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის მიერ რუსეთისთვის ბიჭვინთის აგარაკის გადაცემის შესახებ ე.წ. შეთანხმებას სოციალურ ქსელში ეხმაურება.

თეონა აქუბარდია: „ბიჭვინთის ფაქტობრივი ანექსია გაფორმდა"

– ბიჭვინთის ფაქტობრივი ანექსია გაფორმდა. აღნიშნულ პროცესზე „ქართული ოცნების" ხელისუფლების დუმილმა რუსეთს ანექსიის დასრულებაში ხელი არ შეუშალა, – ასეთია პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატის თეონა აქუბარდიას შეფასება.

მისივე თქმით, ეს იყო ხარკი, რომელიც ვლადიმერ პუტინმა აფხაზური საზოგადოებისგან მოითხოვა, რაც ბოლო ფაქტობრივი ანექსია არ იქნება.

– 2020-2021 წელს განხორციელდა სოფელ აიბგას ფაქტობრივი ანექსია, როდესაც ის კრასნოდარის ოლქს შეუერთეს. ახლა არის ბიჭვინთა და ეს პროცესი შეუქცევადად გრძელდება. ამ ფონზე ჩვენ ვხედავთ როგორი არაადეკვატურია „ქართული ოცნების" მთავრობის დამოკიდებულება ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საკითხის მიმართ. წელიწადნახევარია ვცდილობ, ხელისუფლებამ ბიჭვინთის ანექსიის პროცესზე რეაგირება მოახდინოს, რაც გასულ წელს დაიწყო და დღეს დასრულდა. მივმართე მთავრობასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აღნიშნული ფაქტი განცხადებითაც შეემჩნიათ და პარტნიორებისთვის ადეკვატური რეაგირების მოთხოვნით მიემართათ. სად არის მთავრობა, როცა შეგვეძლო აფხაზური საზოგადოების პროტესტთან ერთად და დასავლელ პარტნიორებთან კოორდინაციის მეშვეობით ფაქტი შეგვეფასებინა?! – განაცხადა თეონა აქუბარდიამ.

ეკონომიკა

ბიძინა ივანიშვილის ქონება რეკორდულად გაიზარდა

ბლოომბერგის მილიარდერების ინდექსის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის ქონებამ რეკორდულ 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწია. მიმდინარე წლის დასაწყისიდან 27 დეკემბრამდე, ივანიშვილის ქონება 950 მილიონით გაიზარდა, რაც დაახლოებით 17%-ს შეადგენს, შესაბამისად, ამჟამად ქართველი მილიარდერი 396-ე ადგილზე განთავსდა.

ცნობისათვის, ბლოომბერგ-ის მილიარდერების ინდექსი ბიძინა ივანიშვილის ქონებას 2013 წლიდან აფასებს.

ბლოომბერგი წერს, რომ ივანიშვილმა ქონება რუსეთში 90-იან წლებში სხვადასხვა ბიზნესით გამოიმუშავა, მათ შორის: რკინის მადნის მწარმოებლების, ფოლადის ქარხნების, ბანკებისა და უძრავი ქონების კოლექციის აშენებით. მან თავისი აქტივების უმეტესი ნაწილი 2003-2006 წლებში გაყიდა, ხოლო დანარჩენი 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრად არჩევის წინა პერიოდში. თანამდებობა მან 2013 წელს დატოვა.

ცნობისათვის, Forbes-ის რეიტინგში, 21 დეკემბრის მონაცემებით, ივანიშვილის ქონება 4,9 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ქვეყანაში ტყეების 98.5 % ბუნებრივი წარმოშობისაა

ქვეყანაში ტყეების 98.5 % ბუნებრივი წარმოშობისაა. ამის შესახებ საქართველოს ტყეების მდგომარეობისა და მახასიათებლების შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულ კვლევაშია აღნიშნული.

მათივე ინფორმაციით, ტყის ეროვნული აღრიცხვის საველე სამუშაოები ქვეყნის მასშტაბით 2019-2021 წლებში განხორციელდა, ხოლო 2022-2023 წლების განმავლობაში საველე სამუშაოების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება მიმდინარეობდა.



ტყის ეროვნული აღრიცხვის შედეგების მიხედვით, საქართველოს, მათ შორის დროებით ოკუპირებული ტერიტორიები, ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარეებით დაფარული ფართობი შეადგენს 3.100.500 ჰექტარს, რაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 44.5%-ია.

ამასთან, ქვეყნის ტყეების 98.5% ბუნებრივი წარმოშობისაა. თუმცა, კვლევაში აღნიშნულია, ფაქტობრივად უმნიშვნელო რაოდენობით, საქართველოს ყველა რეგიონში გვხვდება ხელოვნურად გაშენებული მეტწილად ფიჭვის კორომები (1.5%).

– ვინაიდან, საველე სამუშაოები ვერ განხორციელდა დროებით ოკუპირებულ და ასევე, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მის მომიჯნავე ტერიტორიებზე, ტყით დაფარული ფართობების დადგენის მიზნით, გამოყენებულია დისტანციური ზონდირების მეთოდი. შედეგად, დადგინდა, რომ საქართველოს ტყით დაფარული ფართობის 24.5% (759.200 ჰა.), მოქცეულია დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მათ შორის: აფხაზეთის ტყით დაფარული ფართობია 547.600 ჰა., ხოლო ცხინვალის რეგიონის – 211.600 ჰა. ჯამში საქართველოს დროებით ოკუპირებულ და მის საზღვართან არსებულ ტერიტორიაზე მოქცეულია ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობებით დაფარული – 822.000 ჰა., რაც ქვეყნის ტყით დაფარული ფართობის 26.5%-ს შეადგენს, – ნათქვამია კვლევაში.

კირიონ II — ცხოვრება და მოღვაწეობა

19 საუკუნეში სამშობლოსთვის სამსახური გმირობის ტოლფასი იყო. ამ გმირობის ერთ-ერთი მაგალითია გიორგი საძაგლიშვილი, იგივე კირიონ II.

კირიონ II, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, დაიბადა 1855 წელს გორის მაზრის სოფელ ნიქოზში სასულიერო პირის ოჯახში. მის წინაპრებს დიდი წვლილი მიუძღვით დიდოელთა, ინგუშთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. იგი ჯერ ანანურის სასულიერო სკოლაში სწავლობდა. 1862 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა.

1876 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და სწავლა გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა 1880 წელს და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წლიდან 1896 წლამდე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, საღმრთო ისტორიას, გეოგრაფიას. ყოველად სამღვდელო კირიონი 1896 წელს დაინიშნა საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინად და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად, სადაც დაარსა 19 სამრევლო სკოლა. აა შენებინა სკოლები აწერისხევში, ვანათში, თიანეთში; ყველა სკოლას შეუქმნა წიგნთსაცავები და ბიბლიოთეკები. ამავე პერიოდში ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში იგი აქვეყნებდა წერილებს, გამოკვლევებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე, ივერიელის, საძაგელოვის, ლიახველის ფსევდონიმებით.

1896 წელს ცოლ-შვილის სიკვდილის შემდეგ იგი ბერად აღიკვეცა კირილეს, კირიონის სახელით და გაიგზავნა ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად. ამ პერიოდში ღვთისმსახურების გარდა კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა ქართლის სოფლებში. აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, მეცნიერულად სწავლობდა ხალხის ზნე-ჩვეულებას, ეკლესია-მონასტრების სიძველეებს.

1898 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი კირიონი აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად, რასაც ქართული საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხვდა. ეპისკოპოსად სახელდებისას არქიმანდრიტმა კირიონმა წარმოთქვა სიტყვა: „მე სრულიადაც არ წარმოვიდგენდი ამ თვრამეტი წლის წინათ, როცა კურსი შევასრულე კიევის სასულიერო აკადემიაში, თუ ჩემთვის ასეთი ბედნიერი და დიდმნიშვნელოვანი დღე დადგებოდა... სხვებსავით მეც ვფიქრობდი მომეპოვებინა მყუდროება და ბედნიერება ოჯახურს ცხოვრებაში, მაგრამ ბედმა აქაც მიმუხთლა. და ამის გამო სამსახური ეკლესიის მიმართ მონაზვნად წოდებაში ჩემთვის აუცილებელ-აუშორებელი შეიქმნა. სწორედ ოცი თვის წინათ ამავე ადგილს, სადაც ახლა ვდგავარ, ვიდექი მონაზონის უბრალო ტანსაცმელში და ვაძლევდი აღთქმას მონაზონური ცხოვრებისას... დიდი მადლობელი ვარ იმ ჩემი მოძღვრისა, რომელმაც ამ ჭეშმარიტ გზაზედ დამაყენა. დღეს უმაღლესის ბრძანებით უნდა ვიტვირთო მძიმე მოვალეობანი... გთხოვთ წმინდანნო მღვდელთმთავარნო, წარმომადგენელნო ივერიის ეკლესიისანო, ილოცოთ ჩემთვის, რათა ქვეყნის მწყემსმთავრულის ლოცვის მეოხებით უფალმან მომცეს შეძლება, ძალა და სიბრძნე მისის ეკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობისა“.

* * *

კირიონი 1901 წლიდან გორის ეპისკოპოსია, მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობამ და საქართველოს საეგზარქოსომ დაინახეს ის საფრთხე რაც კირიონის მოღვაწეობიდან მომდინარეობდა. ეპისკოპოს კირიონთან თავს იყრიდა განათლებული სამღვდელოება, რომელიც გამოხატავდა უკმაყოფილებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. მთავრობამ გამოსავალი იმაში გამონახა, რომ ეპისკოპოს კირიონს ხშირად უცვლიდნენ ეპარქიებს. 1903 წელს ხერსონში გაგზავნეს, 1904 წელს ორიოლში, 1906 წელს – სოხუმში. სოხუმში მოღვაწეობის დროს ეპისკოპოსმა კირიონმა დიდი მუშაობა გასწია ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და მოღონიერების საქმეში, მაგრამ სწორედ ასეთი საქმიანობა იწვევდა შოვინისტი რუსი მოხელეების გაავებას. კირიონი სოხუმიდან კოვნოს ეპარქიაში გადაიყვანეს აფხაზების გაქართველების მცდელობის ბრალდებით.

1907 წლის სექტემბერში, როცა ქართველი ხალხი ეთხოვებოდა ილია ჭავჭავაძეს კირიონს საქართველოში ჩამოსვლის უფლება არ მისცეს. მან მხოლოდ სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა მოახერხა კოვნოდან. 1908 წელს კირიონს მთავრობის დადგენილებით ჩამოერთვა ეპისკოპოსის წოდება და დაპატიმრებულ იქნა. მთავრობის ასეთი სიმკაცრის მიზეზი უნდა ვეძებოთ კირიონის დაუცხრომელ საქმიანობაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის სულისჩამდგმელი იყო. სწორედ მისი პროპაგანდის შედეგი იყო 1905 წელს დიდი საეკლესიო კრების ჩატარება, სადაც ქართველი სამღვდელოება იხილავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებს. საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ სთხოვა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ყაზახების საშუალებით დაერბია საეკლესიო შეკრების მონაწილენი. ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელმა ყაზახებმა რუსი ერისა და რუსეთის ეკლესიის ინტერესების დაცვა ქართველი სამღვდელოების მათხრახებით ცემაში დაინახეს.

XX საუკუნის დასაწყისში ფართო პროპაგანდა გაჩაღდა რუსეთში პატრიარქობის აღდგენის მოთხოვნით. ამ მოძრაობაში მონაწილეობდნენ რუსი სლავოფილები. მათ პეტერბურგის პრესაში დაბეჭდეს წერილები, დაგმეს თბილისში ქართველი სამღვდელოების მიმართ ჩადენილი ბარბაროსული მოქმედება. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ეახლა და ოფიციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. მეფის მთავრობა იძულებული შეიქმნა ფორმალურად მაინც დაენიშნა პეტერბურგში სპეციალური სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.

ეპისკოპოსი კირიონი ამ სხდომაზე ასაბუთებდა, რომ ეკლესიური მონობა ყველა მონობაზე უარესია. ფორმალურად დანიშნულმა კომისიამ, სადაც უმრავლესობას წარმოადგენდნენ დეკანოზ ვოსტორგოვის მიმდევრები, უარყვეს ქართველი სამღვდელოების მოთხოვნები და ამის შემდეგ დაიწყო კირიონის დევნა-შევიწროვება.

1908 წლის 28 მაისს თბილისში მოკლეს ეგზარხოსი ნიკონი და მისი მკვლელობა კირიონს დააბრალეს. ამგვარმა ცილისწამებამ, როგორც საქართველო, ისე რუსეთის საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი აღაშფოთა. როდესაც ამ ცილისწამების შესახებ პრესის წარმომადგენელნი ევ.გეგეჭკორს (მაშინდელი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი) შეეკითხნენ, მან უპასუხა: ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა. ბრწყინვალე პიროვნება ეპისკოპოსის კირიონისა მის მტერთ მოსვენებას არ აძლევს, მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ, საშუალებას არ ზოგავენო. კირიონის დევნის ამბავი რუსეთიდან უცხოეთში გაიტანა ოლივერ უორდროპმა, რომელსაც 1909 წლის 2 აპრილს წერილი გაუგზავნა ალ.ცაგარელმა: „კირიონი გაგზავნეს ხარკოვიდან ერთ მონასტერში – ტამბოვის გუბერნიაში საცხოვრებლად, ცოტა ავად არის, მაგრამ მოსკოვში საავადმყოფოში არ დაარჩინეს, ძალათ წაიყვანა პოლიციამ რკინიგზით მონასტერში“. ევროპაში კირიონის დაცვის საზოგადოებაც შექმნეს, რომელმაც დაიწყო ხელმოწერების შეგროვება კირიონის განთავისუფლების მოთხოვნით.

რუსეთის მთავრობამ 1915 წელს შეწყვიტა კირიონის დევნა-შევიწროვება. იგი დანიშნეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლის ნება არ დართეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციით ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ და საგანგებო საეკლესიო კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე ეკლესიის მეთაურად დროებით დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე.

1917 წლის ზაფხულში ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოსკენ გამოემგზავრა. სამშობლოსაკენ მომავალ ბრწყინვალე მღვდელმთავარსა და მეცნიერს არაგვის ხეობაში შეეგება ასოცამდე ცხენოსანი გიგო ყარანგოზიშვილის ხელმძღვანელობით. იგი დიდი პატივით მიაცილეს დედაქალაქამდე, თბილისში კი ბრწყინვალე შეხვედრა მოაწყვეს. მაგრამ კირიონის სამშობლოში დაბრუნება ბევრს მაინც არ გახარებიათ. კირიონი ჩამოსვლისთანავე აქტიურად ჩაება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოსამზადებელ სამუშაოებში.

1917 წლის 9 სექტემბერს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. მას თავმჯდომარეობდნენ გიორგი ჟურული, ტრიფონ ჯაფარიძე, სპირიდონ კედია. კრებამ განიხილა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ეპარქიების, საკათალიკოზო საბჭოს შექმნის საკითხები. მსჯელობის საგანი იყო საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა საკითხიც. სახელდობრ, საჭირო იყო თუ არა მიტროპოლიტის პატივის არსებობა ქართულ ეკლესიაში. ხმათა უმეტესობით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. შეიქმნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების ხმის დამთვლელი კომისია დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის თავმჯდომარეობით. 17 სექტემბერს დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები. კენჭისყრაზე დაშვებული იქნა ორი კანდიდატი – მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი. არჩევნები ჩატარდა სიონის ტაძარში. არჩევნებში მონაწილეობდა 448 კაცი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ და დამტკიცებულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი.

საეკლესიო კრების შედეგები სრულიად კანონზომიერი იყო, მაგრამ საქართველოში რა გამოლევდა ინტრიგებისა და გულფიცხობის მოსურნე ადამიანებს. მართალია, საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II აირჩია, მაგრამ არ გააუქმა ტფილელი მიტროპოლიტის თანამდებობა. ტფილელ მიტროპოლიტად დარჩა ლეონიდე. უწმინდეს კირიონ II-ს სიონში წირვის უფლებაც არ ჰქონდა. იქ ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე სწირავდა. კირიონი ანჩისხატში სწირავდა. დაიწყო ინტრიგები, რასაც აღვივებდნენ რუსი ეგზარქოსების ჯაშუშები, რომელთაც გულზე არ ეხატებოდათ ეროვნული მიმართულების კირიონ II.

დავიდოვი იყო ეგზარქოსების ჯაშუში და ყოველივე ეროვნულის მტერი. იგი არ აირჩიეს, მაგრამ მომხდარი ინციდენტი ფრიად დამაფიქრებელი იყო. ამ დავიდოვმა არაერთხელ სცადა კირიონ II-თან შესვლა და მისი ფიზიკური მოსპობა.

კირიონ II სიხარულით შეეგება სსქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, 1918 წლის 27 მაისს თავისუფლების მოედანზე მან გადაიხადა საზეიმო პარაკლისი და მგზნებარე სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურნი ათეისტური მსოფლმხედველობისანი აღმოჩნდნენ. მათ ეკლესია – ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების სიმბოლო – სახელმწიფოსგან გამოჰყვეს, სკოლა კი – ეკლესიისგან.

* * *

1918 წლის 28 ივნისს გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II 26 ივნისს სოფელ მარტყოფს გაემგზავრა საპატრიარქო რეზიდენციაში... 27 ივნისს დილით იგი მიცვალებული იპოვეს მის საწოლ ოთახში...“

დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე იგონებს: „ხმა დაუყარეს, რომ თავი მოიკლაო!“ 68 წლის მოხუცმა, რომელსაც დამბლის გამო პირზე ჭიქა ვერ მიჰქონდა დასალევად, ასეთი ხელით მწოლიარემ რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლვერი იქვე ეგდო ცხედართან: რევოლვერი დაკეტილი იყო. როგორ, თავი მოიკლა და რევოლვერი დაკეტა? გვერდზე დაიგდო?! ასეთი დასკვნა გამოუტანა „გამოძიებამ“.

ნიკიტა თალაკვაძემ მიცვალებულის წესის აგებისას ეჭვი მიიტანა მათზე, ვინც იდეურად ამზადებდნენ ამის ნიადაგს, შფოთსა და შუღლს აღვივებდნენ ქართულ ეკლესიაში, რის გამოც, ნოე რამიშვილმა, რომელიც შს მინისტრი იყო, გამოიძახა და დატუქსა. ნოე ჟორდანიას მწუხარება გამოუთქვამს კირიონ II-ის გარდაცვალების გამო. მაგრამ გამოძიება არ წარმართულა იმ მიმართულებით, საიდანაც სინამდვილე გაირკვეოდა. საზოგადოებრივ საწყისებზე გამოძიება უწარმოებია ცნობილ მწერალ იოსებ იმედაშვილს.

კირიონ II დაკრძალეს 7 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე სიონის ტაძარში. კათოლიკოს-პატრიარქის მუხანათური მკვლელობის შემდეგ, მოკლეს კირიონის მცველი მირიან ბერი, ქუთაისელი ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე.

კირიონ II 2002 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

მედიცინა

დასაწყისი წინა ნომერში

გაუფრთხილდით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს

ადისონის დაავადება

თირკმელზედა ჯირკვალი წყვილია და განლაგებულია თირკმლის ზედა პოლუსებზე. ორივე ჯირკვლის წონა 15 გრამს არ აღემატება. ჯირკვალში არსებობს ტვინოვანი და ქერქოვანი ნივთიერებები. ჯირკვალი სისხლძარღვებს დიდი რაოდენობით შეიცავს.

ტვინოვანი ნივთიერება გამოჰყოფს ადრენალინს და ნეოადრენალინს. ქერქოვანი ნივთიერება კი – მინერალ ოკორტიკოიდებს, რომლებიც აწესრიგებენ კალიუმისა და ნატრიუმის ურთიერთთანაფარდობას, გლუკოკორტიკოიდებს, რომლებიც ნახშირწყლების ცვლას აწესრიგებენ, ახასიათებთ ანტიალერგიული, ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

თირკმელზედა ჯირკვლის დაზიანებას, რომელიც ტუბერკულოზთან, ათაშანგთან, სიმსივნესთან არის დაკავშირებული, ადისონის დაავადება ეწოდება.

ამ დროს ავადმყოფს აღენიშნება კანის ბრინჯაოს ფერი და დაბალი არტერიული წნევა. კანის ფერი განსაკუთრებით ხელებსა და სახეზე იცვლება. კუნთები სუსტდება, ავადმყოფი კარგავს მადას, მოსალოდნელია გულისრევა, სიგამხდრე, ფაღარათი, ტკივილი მუცლის არეში. დაავადება წლების განმავლობაში ვითარდება.

ადისონის დაავადების დროს სისხლში შაქრის, ნატრიუმის, ქოლესტერინის რაოდენობა დაკლებულია, კალიუმი კი მომატებულია. სისხლში მომატებულია ეოზინოფილები. მკურნალობა მხოლოდ ჰორმონალურია.

თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა – ეს საკმაოდ მძიმე დაავადებაა. მის მკურნალობაში გადამწყვეტია ზუსტი და დროული დიაგნოზის დადგენა.

მნიშვნელოვანია სტრესული მდგომარეობა, თირკმელზედა ჯირკვლის სისხლძარღვთა თრომბოზი. თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა შეიძლება გამოვლინდეს ადისონის დაავადების ფონზე ან კორტიკოსტეროიდებით მკურნალობის სწრაფი შეწყვეტის დროს. ავადმყოფს სწრაფად უქვეითდება წნევა, აქვს ცივი ოფლი, სიფერმკრთალე, ღებინება, კრუნჩხვები. ზუსტი დიაგნოზისთვის საჭიროა შარდის 17 კეტოსტეროიდის განსაზღვრა, სისხლში შაქრის, ქოლესტერინის, ნატრიუმისა და კალიუმის დონის გამოკვლევა.

საჭიროა დროული მკურნალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფი დაიღუპება.

პანკრეასის ჯირკვალი

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები ეწოდება ისეთ ჯირკვლებს, რომელთაც არ აქვთ გამომტანი სადინარი და მათ მიერ გამომუშავებული ჰორმონი უშუალოდ სისხლში გადადის. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების გარდა, ორგანიზმს აქვს ისეთი ჯირკვლებიც, რომლებსაც ახასიათებს როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი სეკრეცია. ასეთია პანკრეასი და სასქესო ჯირკვლები.

პანკრეასს აქვს სადინარი, რომელიც 12-გოჯა ნაწლავში იხსნება, სადაც ჩადის პანკრეასის წვენი, რომელიც თავისი ფერმენტებით საჭმლის მონელებაში მონაწილეობს. ე.წ. ლანგერგანსის კუნძულები გამოჰყოფენ ჰორმონს – ინსულინს. ინსულინი შეიწოვება სისხლში და ნახშირწყლების ცვლაში მონაწილეობს. პანკრეასის ფუნქციის დარღვევა იწვევს შაქრიან დიაბეტს.

აშშ: სერბეთის მომავალი დასავლეთთან კავშირებშია!

სერბეთი მასიურმა დემონსტრაციებმა მოიცვა. მიზეზი იყო დარღვევები უკანასკელ არჩევნებზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა:

– დარღვევები უნდა გულდასმით იქნას გამოძიებული! დამნაშავენი კი უნდა დაისაჯონ! – ამბობს ბლინკენი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ სერბეთის მომავალი ევროპაშია.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 5.913; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.973; არტილერია – 8.376; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 616; თვითმფრინავები – 329.

განადგურებულია – 357.850 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

ქალი, ბუზღუნა ქმრის წყალობით, გამდიდრდა



ამერიკის მერილენდის შტატის მონგომერის ოლქის მცხოვრები, გაფუჭებული ავტომობილისა და ბუზღუნა მეუღლის წყალობით, გამდიდრდა.

ქალის თქმით, მას მანქანასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, თუმცა, მის მოსაგვარებლად ავტოსერვისისთვის მიმართვას არ ჩქარობდა. როგორც ქალმა აღიარა, მეუღლე გამუდმებით ეკითხებოდა, თუ როდის შეაკეთებდა მანქანას და რითიც მის გაღიზიანებას იწვევდა. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ შეკვეთის ნომერი ხუთი ციფრისგან შედგებოდა და გადაწყვიტა, ისინი ლატარიის ბილეთის ყიდვის დროს გამოეყენებინა.

ქალმა ერთდოლარიანი ბილეთი იყიდა. ლატარიის გათამაშება იმავე საღამოს შედგა. ქალი დასთან ერთად მანქანით მგზავრობდა, როდესაც გათამაშების შედეგების შემოწმება გადაწყვიტა. მოულოდნელად მან შეიტყო, რომ მისი ბილეთის ნომრები გათამაშებაში ამოსულ ნომრებს დაემთხვა და მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა. ქალის აღიარებით, მოულოდნელი სიხარულისაგან, მან ისე იყვირა, რომ და შეაშინა.

გათამაშების გამარჯვებულის თქმით, მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში გამოიყენებს მოგებულ თანხას. ქალმა იქვე აღნიშნა, რომ მანქანა ჯერაც არ შეუკეთებია.

– შეიძლება, ახალიც ვიყიდო, – განაცხადა ქალმა.

20-მეტრიანი საახალწლო ნაძვის ხე ხანდაზმულ ქალს დაეცა

ბელგიაში ქალაქის ცენტრში დადგმული საახალწლო ნაძვის ხე წაიქცა და 63 წლის ქალი ქვეშ მოიყოლა.

აღნიშნული ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც ვიდეოკამერებმა დააფიქსირა, აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვინციის აუდენარდეს მუნიციპალიტეტში მოხდა. ხანდაზმული ქალი ქალაქის ცენტრში ველოსიპედით გადაადგილდებოდა, როდესაც ძლიერმა ქარმა მოედანზე დადგმული 20 მეტრიანი ნაძვის ხე ჯერ მოარყია, შემდეგ კი წააქცია.

სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერში მოხდა საახალწლო ნაძვის ხის წაქცევის მომენტი. ის ჯერ რამდენჯერმე გადაქანდა სხვადასხვა მხარეს, შემდეგ კი წაიქცა. როგორც ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს ნაძვის ხე ქალს ზუსტად თავზე დაეცა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

ამ დროისთვის სამართალდამცავი ორგანოები მომხდარის გამოძიებით არიან დაკავებულები. მათი ამოცანაა იმის დადგენა, სათანადოდ იყო თუ არა ადგილზე დამაგრებული საახალწლო ნაძვის ხე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალეიდოსკოპი

პატიმრებს დარაჯებად ბატები დაუყენეს

ბრაზილიის ერთ-ერთ ციხეში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სადარაჯო ძაღლები ბატებით შეცვალონ.



გამოსასწორებელი დაწესებულების ხელმძღვანელობის თქმით, ბატები გაცილებით ეფექტურები გამოდგნენ პატიმრების ადგილსამყოფელის დაცვის საქმეში. გარდა ამისა, მათი შენახვა გაცილებით იაფი ჯდება.

ასევე, როგორც აღმოჩნდა, ბატებს უფრო მახვილი სმენა აქვთ, აღნიშნეს უსაფრთხოების დაცვის სამსახურში. ფრინველები მაღალ ხმებსაც გამოსცემენ, რის შედეგადაც ზედამხედველები დროულ გაფრთხილებას იღებენ სხვადასხვა მოულოდნელი ვითარების წარმოქმნაზე.

– ჩვენ გვაქვს სათვალთვალო კამერები, პირადი დაკვირვება და, ბოლოს, ბატების დაკვირვება, რომლებმაც ძაღლები შეცვალეს, – აღნიშნეს ციხის წარმომადგენლებმა.

10 წლის ბიჭმა დედის პისტოლეტით და სახეში დაჭრა

ამერიკის ფლორიდის შტატში 10 წლის ბიჭმა დედის მანქანის უჯრაში იპოვა ნახევრად ავტომატური პისტოლეტი და შემთხვევით დას სახეში ესროლა.

აღნიშნული ინციდენტი სამშაბათს, 19 დეკემბერს, მოხდა. ქალმა, რომლის სახელსაც პოლიცია არ ამჟღავნებს, ქალაქ უესტ-პალმ-ბიჩში დილით ადრე ავტოგასამართ სადგურზე შეიარა. ის მცირე ხნით გადავიდა მანქანიდან და მის სალონში თავისი ოთხი ბავშვი დატოვა, რომელთაგან ყველაზე უფროსი 10, ხოლო უმცროსი ერთი წლის იყო. სანამ დედა დაბრუნდებოდა, 10 წლის ბიჭმა მანქანის უჯრა გამოაღო და იქ გლოკის პისტოლეტი იპოვა.

მალევე ბავშვს პისტოლეტი ხელში გაუვარდა. ტყვია ლოყაში მის რვა წლის დას მოხვდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა დაშავებული გოგონა, რომელიც გონებაზე იყო და ექიმებთან ურთიერთობდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, ბავშვი მალე სრულიად გამოჯანმრთელდება. მანქანაში მყოფი დანარჩენი ბავშვები არ დაშავებულან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ლიტერატურული პრემია „მუზა“ საუკეთესოებს გადაეცა

მწერალთა სახლში ლიტერატურული კონკურსის „მუზა“ გამარჯვებულები დასახელდნენ და მათი დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. წელს პრემიის მოსაპოვებლად 82 კონკურსანტი იბრძოდა.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ ნომინაციებში: წლის საუკეთესო რომანი – ლევან ბერიძე, „როგორც შენ იტყვი“. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – კახაბერ მელითაური, „ოთხი მოთხრობა“. წლის საუკეთესო პოეტური კრებული – მანანა ჩიტიშვილი, „რჩეული“. წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა/ესე – კონსტანტინე გამსახურდია, „სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის – ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიული პორტრეტი“. წლის საუკეთესო დებიუტი – ლუკა ყაულაშვილი, „შენთვის და შენზე“; კონსტანტინე ჭანკოტაძე, „ილუზიური რეალობა“. წლის საუკეთესო თარგმანი – ირმა შიოლაშვილი, რაინერ მარია რილკე, „სალამო არის ჩემი წიგნი“; რუსუდან ღვინეფაძე, ფრანც კაფკა, „დღიურები“. წლის საუკეთესო კრიტიკა/რეცენზია – თამარ გელიტაშვილი, „მხატვრული ქმნილების პირისპირ“. წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება – კობა ცხაკაია, „სამი პიესა სხვადასხვა ამბავზე“.

ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის პოტი თემურ ჩალაბაშვილი დაჯილდოვდა.

ნომინაციებში „წიგნის საუკეთესო დიზაინი“ და „წლის საუკეთესო ინოვაციური ლიტერატურული პროექტი“ გამარჯვებულები არ გამოვლინდნენ.

გამარჯვებულებს გადაეცათ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის „მუზის“ მიხედვით შექმნილი პრიზი და ფულადი ჯილდო 5.000 ლარი.

დაჯილდოების ცერემონიისთვის მომზადდა ვიდეორგოლი, რომლისთვისაც მუსიკა შექმნა კომპოზიტორმა ზაზა მარჯანიშვილმა. მიწვეულმა სტუმრებმა ცერემონიის დაწყებამდე მოუსმინეს გიტარისტ გიორგი ფხალაძის მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს. ღონისძიების მიმდინარეობისას მაყურებლის წინაშე წარსდგნენ დინი ვირსალაძე, გიორგი მელიქიშვილი და დავით ჯაფარიძე.

კულტურის სამინისტროს მიერ 2 წლის წინ დაფუძნდა ლიტერატურული პრემია სახელწოდებით „წლის საუკეთესო“, თუმცა, კონკურსის წარმატებისა და მის მიმართ დიდი ინტერესის გათვალისწინებით, კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს კონკურსი ჩატარდა განახლებული სახით, 10 სხვადასხვა ნომინაციითა და ახალი სახელწოდებით „მუზა“.

კონკურსი ყოველწლიურად სექტემბერში ცხადდება. მისი მიზანია ქართული ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა, ქვეყანაში საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა, ხელოვანთა შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების გამოვლენა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ფრანგული კომპანიის 700 თანამშრომელი საზიემო წვეულებაზე მოიწამლა

ფრანგული აეროკოსმოსური ჯგუფის ეირბუს ატლანტიკის 2.600 თანამშრომლისთვის გამართული სადღესასწაულო საშობაო წვეულება მასობრივი მოწამლით დასრულდა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მომხდარი ფაქტის გამოძიება დაიწყეს იმის დასადგენად, თუ რა გახდა კომპანიის 700 თანამშრომლის მოწამვლის მიზეზი. წვეულება და სადღესასწაულო სადილი კომპანიის კუთვნილ რესტორანში გაიმართა, რომელიც დასავლეთ საფრანგეთის ქალაქ მონტუარ-დე-ბრეტანში მდებარეობს. იმ საღამოს მენიუში იყო ფუა-გრა, ზღვის მოლუსკები, ომარები და ტურნედო. ასევე დესერტად ნაყინი და შოკოლად-თხილის მუსი. კომპანიის მწარმოებელი კომიტეტის მდივანმა ჟან-კლოდ ირიბარენმა განაცხადა, რომ ყველა კერძი ადგილზე იყო დამზადებული, რომლის ინგრედიენტებიც ადგილობრივი მეწარმეების მიერ იყო მიწოდებული.

დაზარალებულებს კლინიკური სიმპტომები, გულისრევისა და ფაღარათის სახით, 14 დეკემბრის სადღესასწაულო სადილის შემდეგ გამოუვლინდათ. უმრავლესობას ეს სიმპტომები სადილის დარულებიდან 24-დან 48 საათამდე დროში გამოუვლინდათ. ექიმები ვარაუდობენ, რომ მოწამვლა ნაწლავის ჩხირებმა ან უკიდურესად გადამდებმა როტავირუსმა გამოიწვია.

გამოძიების შედეგები, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გამოქვეყნდება. ამავე დროს კომპანიის წარმომადგენლის თქმით, სერიოზულად არავინ დაავადებულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რაგბის კავშირმა წელი დადებითად შეაფასა

რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ, აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა და გამგეობის თავმჯდომარემ დავით კაჭარავამ ქართული რაგბის წარმომადგენლებს 2023 წლის ანგარიში ჩააბარეს.

ნამდვილ წევრთა საერთო კრება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. განსახილველი ოთხი საკითხი იყო და მათგან პირველი 2023 წლის ანგარიშს მოიცავდა.

იოსებ ტყემალაძემ დამსწრეებს 2023 წლის მსოფლიო თასის ანგარიში ჩააბარა და ზოგადად წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა. ყრილობა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. პრეზიდენტი მომავალი 3 წლის მთავარ პრიორიტეტებსაც შეეხო, რომელთა შორისაა არსებული რაგბის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-რეაბილიტაცია; ახალი მოედნებისა თუ ბაზების მშენებლობა; დიდი 10-ის, პირველი და რეგიონული ლიგის კლუბების გაძლიერება; ბავშვთა და ქალთა რაგბისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნა.

ასევე აღინიშნა, რომ 2024 წლის პირველ ნახევარში რაგბის კავშირში ჩატარდება საერთაშორისო აუდიტი, რაც რაგბის კავშირს ფინანსური რესურსის უფრო ეფექტურად ხარჯვის შესაძლებლობას მისცემს.

ყრილობაზე განიხილეს და ერთხმად დაამტკიცეს 2024 წლის ბიუჯეტი, ასევე, მსოფლიო რაგბის მოთხოვნის შესაბამისად, რაგბის კავშირის წესდებაში შევიდა ცვლილება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების განკურნება, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის განწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ჩაკვეტაძისა და გელაშვილის სადებიუტო გოლები

ევროპულ ჩემპიონატებში ორი „ქართული“ გოლი გავიდა. მართალია, ორივე ქვედა ლიგაში, მაგრამ ორივე სადებიუტო.

„საჩუქრების დღეს“ (ბოქსინგ დეი) ბედნიერი გამოდგა გიორგი ჩაკვეტაძისთვის, რომელმაც საჩუქარი საკუთარ თავს გაუკეთა ინგლისის ჩემპიონშიპის 24-ე ტურში სადებიუტო გოლი გაიტანა. თუმცა, ამან გუნდს ვერ უშველა და ჩვენებურის უოტფორდი საკუთარ მოედანზე ბრისტოლ სიტისთან 1:4 განადგურდა.

უოტფორდის მწვრთნელმა ჩაკვეტაძე მოედანზე მას შემდეგ შეუშვა, როდესაც გუნდმა ტაიმი 0:2 წააგო. გიორგიმ 49-ე წუთზე იასერ ასპრილიას პასის შემდეგ ზუსტად დაარტყა და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ იქვე ჯერ მესამე გოლი გაუშვეს, ბოლოს მეოთხეც და მატჩიც მორჩა.

ჩაკვეტაძემ მიმდინარე სეზონში 18 მატჩი ითამაშა და გოლამდე მხოლოდ ერთი საგოლე პასი ჰქონდა.

უოტფორდი ინგლისის ჩემპიონშიპში 34 ქულით მე-10 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 29 დეკემბერს, სტოკ სიტის უმასპინძლებს.

სადებიუტო გოლი შეაგდო ივა გელაშვილმაც. იტალიის სერია ბ-ში სპეციას 22 წლის ცენტრალურმა მცველმა მოდენასთან საშინაო შეხვედრის კომპენსირებულ მე-2 წუთზე გაიტანა და გუნდს ქულა გადაურჩინა.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სპეცია მისივე შეცდომის შედეგად აგებდა – გელაშვილმა 64-ე წუთზე პენალტი „აიკიდა“, რომელიც მეტოქემ გოლად აქცია. ქართველმა ფეხბურთელმა შეცდომა მატჩის მიწურულს, ზუსტი თავური დარტყმით გამოასწორა.

საერთოდ, გელაშვილის კარგი თამაში გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა პრესკონფერენციაზეც ახსენა და ჩვენებური შეაქო.

– მიხარია, რომ მოდენასთან თამაში გადავარჩინეთ და ქულა მოვიპოვეთ. მატჩამდე საკადრო პრობლემები შეგვექმნა. მადლობას გადავუხდი სალვატორე ესპოზიტოსა და ნიკოლაუს, რომლებმაც ავადმყოფობის მიუხედავად, მაინც ითამაშეს. ასეთ რთულ დაპირისპირებაში მოპოვებული ქულა ოპტიმისტურად განმაწყობს, რადგან ეს გუნდისთვის ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანია.

მოდენასთან დასახელებულმა სასტარტო შემადგენლობამ ბევრი გააკვირვა, მაგრამ ფაქტია, რომ ამან გაამართლა – მაგალითად, ივა გელაშვილის დაყენებამ. მან ვარჯიშებზე აჩვენა, რომ მიზანდასახული და გუნდური მოთამაშეა. გადამწყვეტი გოლი გაიტანა და მისი სიხარული გასაგებია, რადგან არ იმსახურებდა მატჩის იმ შეცდომით დასრულებას, რომელიც ჩვენს კარში პენალტით დასრულდა. ამ შეცდომის მიუხედავად, გელაშვილმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა – შანსიც მიეცა და ამით შესანიშნავად ისარგებლა.

გუნდში უფრო გამოცდილი ფეხბურთელებიც გვყავს, მაგრამ გელაშვილი არის მაგალითი, თუ ვის ვანიჭებთ უპირატესობას – ისეთებს, ვისაც მეტი ენთუზიაზმი გააჩნია, ვინც სერიოზულობა გამოავლინა და კარგად გაიგო ამ მომენტში სპეციას რა სჭირდება.

სპეციას 19 მატჩში 17 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში გასავარდნ, მე-18 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი, 13 იანვარს, სტუმრად კომოსთან გამართავს.

გიორგი მამარდაშვილი ვალენსიას ეჭვევა

გიორგი მამარდაშვილის ფასი 30 მილიონამდე რომ გაიზარდა, ეს ამბავი ყველაზე მეტად ვალენსიას მფლობელს ახარებს. პიტერ ლიმი ქართველი ფეხბურთელის ხარჯზე კლუბის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდება. ესპანურ მედიაში მამარდაშვილის მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ სტატია გამოქვეყნდა.

– ამჟამინდელი ვალენსია ახალგაზრდების თავგანწირვით, ბარახას სიმშვიდითა და მამარდაშვილით არსებობს. ქართველი მეკარე სასტარტო შემადგენლობის უცვლელი წევრი და კლუბის ერთ-ერთი უდიდესი აქტივია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ტრანსფერი ვალენსიას მიერ უკანასკნელ წლებში გადადგმული ყველაზე წარმატებული ნაბიჯი იყო. მამარდაშვილს თანაგუნდელები უკვე მრავალგზის ჰყავს გადარჩენილი. ის იმ მეკარეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ქულები პირადად მოაქვთ.

გასულ ზაფხულში აქტიური საუბრები მიმდინარეობდა იმასთან დაკავშირებით, რომ ის კლუბის დატოვებას აპირებდა. მაშინ ვალენსიამ ცდუნებას გაუძლო, თუმცა, ცხადია, რომ მამარდაშვილის წასვლა მხოლოდ დროის საკითხია. მისი ფასი მუდმივად იზრდება და ყველა თანხმდება, რომ მას ევროპულ ფეხბურთში წარმატებული კარიერა ელის. ამდენად, ვალენსიამ აქედანვე უნდა იზრუნოს მის შემცვლელზე, რადგანაც ქართველი მეკარის დაკარგვის შემდეგ, გუნდს ძალიან გაუჭირდება.

ცხადია, მამარდაშვილს გამოსვლებზე და ფეხით თამაში გასაუმჯობესებელი აქვს. კარგი იქნება, თუკი პენალტების დროსაც უფრო ყოჩაღად დადგება. თუმცა, 2023 წელი უპირველეს ყოვლისა, მაინც მისი წარმოუდგენელი სეივებით გვამახსოვრდება. თუკი ბარახას გუნდში ვინმეს გამოყოფა შეიძლება, სწორედ მამარდაშვილია, მეკარე, რომელზეც 2024 წელსაც ბევრს ისაუბრებენ.

ქართველი მეკარის საბაზრო ფასი 30 მილიონ ევრომდე გაიზარდა და კლუბისთვის, რომელიც შემოსავლების ძიებაშია, ერთ-ერთი მთავარი აქტივია. ვალენსია ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე განსაკუთრებულ აქტიურობას არ აპირებს. სინგაპურელი ბიზნესმენი გუნდის გაძლიერებისთვის ფულის დახარჯვას არ გეგმავს. მეტიც, ფინანსური მდგომარეობა გამოსასწორებელი აქვს და რამდენიმე მოთამაშის გაყიდვა მოუწევს. მაგალითად, გიორგი მამარდაშვილის. ქართველი მეკარის გაყიდვაზე წინა ზაფხულსაც იყო საუბარი, რომელსაც მადრიდის რეალიც კი განიხილავდა.

მამარდაშვილი რუბენ ბარახას სრული ნდობით სარგებლობს. გიორგიმ ლა ლიგის 18-ვე მატჩში ითამაშა, გაუშვა 22 გოლი, ექვს თამაშში კი, კარი მშრალად შეინახა. შედეგად, მისი საბაზრო ფასი ამ სეზონში 5 მილიონი ევროთი, 30 მილიონამდე გაზარდა. ახლა მამარდაშვილი ლა ლიგაში ფასით მხოლოდ რეალის (ტიბო კურტუა), ატლეტიკოსა (იან ობლაკი) და ბარსელონას (მარკ-ანდრე ტერ შტეგენი) მეკარეებს ჩამოუვარდება, რომლებიც 35-35 მილიონ ევროდ არიან შეფასებულნი.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სამივე მათგანი 30 წელს გადაცილებულია. ქართველი კი, რომელიც სულ რაღაც 23 წლისაა, უკან იტოვებს უნაი სიმონსა და ალექს რემიროს (25 მილიონი ევრო), კეპას (20 მილიონი). ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც 2021 წელს. დინამო თბილისიდან იჯარით მოსული 800.000 ევრო ღირდა. თვალნათლივ ჩანს შთამბეჭდავი პროგრესი, რომელიც მას „მესტალიაზე“ აქვს.

ლიმი უკვე ფიქრობს შესაძლო ტრანსფერზე და ხელებს იფშვნეტს. ამასთან, კლუბის სპორტული ხელმძღვანელობა უკვე მუშაობს მისი შემცვლელის მოძიებაზე და ლეგანესის მეკარე დიეგო კონდეს განიხილავს.

გეტყვით, რომ ვალენსია ლა ლიგას 3 იანვარს, ვილიარეალთან საშინაო მატჩით დაუბრუნდება, 7 იანვარს კი, ესპანეთის თასზე კარტახენას ესტუმრება.

ბითაძე მცირე დროსაც შედეგიანად იყენებს

ნბა-ის მიმდინარე სეზონში მეთვრამეტე მატჩი მოიგო გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქმა. ფლორიდელებმა სტუმრად ვაშინგტონ ვიზარდსი 127:119 დაამარცხეს.

ასეთ უხვქულიან მატჩში ქართველ ცენტრს სათამაშოდ 12 წუთი ერგო, რაც მაქსიმალურად შედეგიანად გამოიყენა: ხუთიდან ოთხი ორქულიანი და ორიდან ორი საჯარიმო ჩააგდო. ჯამში 10 ქულას კი, 7 მოხსნა, 3 პასი, 1 დაფარებაც წაუმატა.

28 ქულით ორლანდოს ბომბარდირი გერმანელი მორიც ვაგნერი გახდა. ვაშინგტონელმა ჯორდან პულმა 30 ქულა ჩააგდო.

ვნახოთ რა ქნა გოგას კონკურენტმა ვენდელ კარტერმა, ტრავმის მოშუშების შემდეგ სასტარტო ხუთეულში დაბრუნებულმა ორლანდოს ცენტრმა. კარტერმა პარკეტზე 21 წუთი დაჰყო და თავი 6 ქულას, 4 მოხსნას, 2 პასს და 1 დაფარებას მოუყარა, ბურთი კი ორჯერ დაკარგა. ანუ ქართველი ცენტრი ბევრად მცირე დროში გაცილებით სარგებლიანი იყო.

ორლანდო მომდევნო მატჩს 28 დეკემბერს ფილადელფიის წინააღმდეგ გამართავს.

სან ანტონიო სპურსის წარუმატებელი სერია იუტა ჯაზთან გააგრძელდა. ტეხასელებმა 118:130 წააგეს. გრეგ პოპოვიჩმა სანდრო მამუკელაშვილი ორი წუთით ათამაშა, რა დროშიც ქართველმა ფორვარდმა საკუთარ ფარზე ბურთი ერთხელ მოხსნა და ერთხელაც ორქულიანი ისროლა, მაგრამ არაზუსტად.

მომდევნო მატჩში სან ანტონიო პორტლენდს ესტუმრება.

თორნიკე შენგელიას ლიდერობით ვირტუს ბოლონიამ მორიგი მატჩი მოიგო. იტალიის სერია ა-ს მე-13 ტურში ვირტუსი სტუმრად პისტოიას შეხვდა და საკმაოდ იოლად – 90:71 დაამარცხა.

ბოლონიელთა ქართველმა ფორვარდმა 24 წუთში 16 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი გააკეთა. თორნიკემ 10-დან შვიდი ორქულიანი და ორიდან ორი საჯარიმო ჩააგდო. მატჩის საუკეთესო ბომბარდირი მარკო ბელინელი გახდა, რომელმაც 19 ქულა მოინაგრა.

თუმცა, ტურის სიმბოლურ ნაკრებში სწორედ ბელინელი ვერ მოხვდა და ეს აღიარება სხვებს ერგოთ. გამოკითხვის შედეგად, საუკეთესო ხუთეულში ბოლონიელთაგან შენგელია და მისი თანაგუნდელი დენიელ ჰაკეტიც შევიდნენ. ისევე, როგორც ნიკო მანიონი (ვარეზე), ალესანდრო ჯენტილე (სკაფატი) და ანდრეის გრაზულისი (ტრენტო).

ვირტუსს 9 მოგებითა და 4 მარცხით იტალიის ჩემპიონატში მე-3 ადგილი უკავია, მომდევნო მატჩს კი 30 დეკემბერს, შინ, პეზაროსთან ჩაატარებს. მანამდე, კონკრეტულად კი, 28 დეკემბერს, ბოლონიელები ევროლიგის ეგიდით სერბულ პარტიზანს ესტუმრებიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

26 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ნიუკასლი-ნოტინგემი	1:3
ბორნმუთი-ფულემი	3:0
შეფილდი-ლუთონი	2:3
ბარნლი-ლივერპული	0:2
მანჩესტერი-ასტონ ვილა	3:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	19	12	6	1	39-16	42
2.არსენალი	18	12	4	2	36-16	40
3.ასტონ ვილა	19	12	3	4	40-25	39
4.ტოტენჰემი	18	11	3	4	37-24	36
5.სიტი	17	10	4	3	40-20	34
6.მანჩესტერი	19	10	1	8	21-25	31
7.ვესტ ჰემი	18	9	3	6	31-30	30
8.ნიუკასლი	19	9	2	8	37-25	29
9.ბრაიტონი	18	7	6	5	34-31	27
10.ბორნმუთი	19	7	5	7	28-33	26
11.ჩელსი	18	6	4	8	29-28	22
12.ვულვზი	18	6	4	8	23-30	22
13.ფულემი	19	6	3	10	26-34	21
14.ბრენტფორდი	17	5	4	8	24-24	19
15.კრ.პალასი	18	4	6	8	18-26	18
16.ნოტინგემი	19	4	5	10	22-34	17
17.ევერტონი	18	8	2	8	23-22	16
18.ლუთონი	18	3	4	11	19-33	13
19.ბარნლი	19	3	2	14	18-38	11
20.შეფილდი	18	2	3	13	13-44	9

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

ინგლისი. ჩემპიონშიპი

პრესტონი-ლიდსი	2:1
მილუოლი-ქპრ	2:0
ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი	1:0
კარდიფი-პლიმუთი	2:2
ქოვენთრი-უენსდი	2:0
როტერჰემი-მიდლსბრო	1:0
საუთჰემპტონი-სუონსი	5:0
უოტფორდი-ბრისტოლი	1:4

უოტფორდის გოლი
გიორგი ჩაკვეტაძემ გაიტანა

ჰადერფილდი-ბლექბერნი	3:0
ჰალი-სანდერლენდი	0:1
ბირმინგემი-სტოკი	1:3
იფსვიჩი-ლესტერი	1:1

იტალია. სერია ბ

რეჯანა-კატანძარო	1:0
ასკოლი-ჩიტადელა	0:0
ბრეშა-პარმა	0:2
კოზენცა-კომო	1:2
ლეკო-ზიუდტიროლი	2:1
სპეცია-მოდენა	1:1

სპეციას გოლი
ივა გელაშვილმა გაიტანა

ტერნანა-პიზა	1:1
ფერალსიპალო-ვენეცია	2:2
პალერმო-კრემონეზე	3:2
სამპდორია-ბარი	1:1

ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-ანტვერპენი	3:0
ლეუვენი-ეუპენი	3:0
კორტრაიკი-გენტი	0:2
ვესტერლო-მოლენბეკი	3:0
ბრიუგე-სენ ჟილუა	1:1

მოტლანდია. ჰემიეჩიგა

დანდი-სელტიკი	0:3

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბალეტ „დონ-კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 2. ფრანგი მწერალი, „კარმენის“ ავტორი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 4. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 7. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი; 8. წყალში გახსნილი სახატავი საღებავი; 12. პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ კინორეჟისორი; 14. ენისა და ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერი; 16. მკვრივი ქანების სანგრევი ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 17. სარეკლამო ლოზუნგი; 19. იაპონური ხის ქოშები; 20. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება.

თარაზულად: 6. აფრიკის სახელმწიფო სამხრეთ როდეზიის დღევანდელი სახელწოდება; 6. წყლის საათი; 9. გულუხვი მასპინძელი; 10. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 11. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 13. წყლის საქაჩი მექანიზმი; 15. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 18. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 18. ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით; 22. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 23. ქალ-ვაჟის უძველესი ქართული ცეკვა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფერხისა; 2. სენა; 3. ფერმი; 4. კრუიფი; 6. მაშარაბი; 9. ლაგუნა; 13. კარდიფი; 14. პაოლინი; 15. პოპოლო; 17. ლხინი; 18. ჩორდი; 20. იედო.

თარაზულად: 1. ფისკალი; 5. მრუმე; 7. გეიმერი; 8. რონდელი; 10. ბორში; 11. მუაში; 12. ჯაგანი; 16. სახიბი; 17. ლანჩა; 19. როქი; 21. ეოლითი; 22. ანანდი; 23. კოპიჭი; 24. მიმინო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. წახნაგი; 2. ჭანები; 3. შტურმანი; 4. რაფინადი; 7. დარდანელი; 8. ჟოეკვარა; 12. ოდოგრაფი; 14. დიაგრამა; 16. რუსთავი; 17. ჰოკაიდო; 19. იავა; 20. აურა.

თარაზულად: 5. რაფსოდია; 6. სატურაცია; 9. ხანუმა; 10. ბეშუმი; 11. მედეა; 13. ოდერი; 15. მიფუნე; 18. გურია; 21. ბაქტრიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

28 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6920

ევრო — 2.9763

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4253

100 რუსული რუბლი — 2.9275

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ როკე: „ბარსელონაში გამარჯვებებისთვის ჩამოვედი“

ბარსელონას ბრაზილიელმა ახალწვეულმა ვიქტორ როკემ თავის მიზნებზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონაში მხოლოდ გამარჯვებისთვის ჩავიდა და გუნდთან ერთად დიდი ამბიციები აქვს:

– ბარსელონაში თამაში ყოველთვის ჩემი ოცნება იყო და მიხარია, რომ ეს ოცნება რეალობად იქცა. აქ მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან და მინდა, რომ გუნდს გამარჯვებების მიღწევაში დავეხმარო. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც მოედანზე გამოვალ.

გიორგი ჩაკვეტაძემ უოტფორდის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა

გიორგი ჩაკვეტაძემ უოტფორდის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა და მან ეს ბრისტოლ სიტის წინააღმდეგ გააკეთა, თუმცა, უოტფორდმა შეხვედრა მაინც დათმო ანგარიშით 1:4. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ნათელი წერტილი უოტფორდის შემადგენლობაში გიორგი ჩაკვეტაძე იყო.

მატჩის შემდეგ უოტფორდის გულშემატკივრებმა ქართველ ნახევარმცველზე ბევრი კარგი სიტყვა დაწერეს.

გვარდიოლა: „ფეხბურთში მთავარი შედეგია“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ თქვა, რომ ფეხბურთში მთავარი შედეგია და თუ შედეგს ვერ აღწევ, თამაშის ხარისხი არავის აინტერესებს. გვარდიოლას თქმით, სიტის ბოლო შეხვედრებში, უბრალოდ, არ უმართლებს:

– ჩვენ მუდმივად გვაკრიტიკებენ, რადგან შედეგს ვერ ვაღწევთ, თუმცა, კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ. გულშემატკივარს მხოლოდ შედეგი აინტერესებს და სხვა დანარჩენი ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„საახალწლო მუსიკალურ შეხვედრებს“ მანანა დოიჯაშვილის სახელი მიენიჭა



მანანა დოიჯაშვილის მიერ დაარსებულ საერთაშორისო ფესტივალს „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ მისი სახელი მიენიჭა.

ფესტივალი წელს 26-ედ ჩატარდა, თუმცა, პირველად მისი დამფუძნებლის გარეშე. კონსერვატორიის დიდ დარბაზში ფესტივალის ფარგლებში გაიმართა მრავალფეროვანი საღამოები და მასში ქართველმა და უცხოელმა ხელოვანებმა მიიღეს მონაწილეობა. კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში ფესტივალის მსვლელობისას ფერმწერ ნინა ჩაჩუას ნამუშევრები გამოიფინა.

საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ 1998 წელს დაფუძნდა. ის ყველა დანარჩენი ფესტივალისგან განსხვავებულია და აერთიანებს ფოლკლორული, კამერული, საორღანო, საფორტეპიანო, ვოკალური, სიმფონიური მუსიკისა თუ ჯაზის მოყვარული სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების მსმენელს. წლების მანძილზე ფესტივალმა მრავალ მსოფლიო ვარსკვლავს, საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწე ქართველ თუ უცხოელ მუსიკოს-შემსრულებელს უმასპინძლა.

ფესტივალის დასკვნითი კონცერტი მანანა დოიჯაშვილს მიეძღვნა. საფორტეპიანო დუეტების საღამოში „მანანას!“ მონაწილეობა მიიღეს ეთერ ანჯაფარიძემ, თამარ ბერაიამ, ნათია ბერაიამ, ნატა მეცხოვრიშვილმა, გიორგი მიქაძემ, დავით ალადაშვილმა და საქართველოს სინფონიეტამ.

აძიკვის ეკლესია უყურადღებობით ინგრევა

დეკანოზი ილია ჭიღლაძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ალგეთის ხეობაში მდებარე XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი უყურადღებობით ინგრევა:

– ყოველდღიურად ნადგურდება ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი: აძიკვის ეკლესია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

როგორც ისტორიული, ისე ძველი ქართული სახვითი ხელოვნების თვალსაზრისით საყურადღებოა ბარელიეფი, რომელიც დატანებულია აძიკვის ეკლესიაზე მიშენებული ეგვტერის კედელში. მასზე გამოსახულია ოთხი მამაკაცი, მკვლევართა ვარაუდით, დიდებულები. ბარელიეფს ოთხივე მხრივ შემოუყვება ასომთავრული წარწერა, პალეოგრაფიულად X-XIII საუკუნეებისა, ბარელიეფზე გამოსახულ პირთა სახელებს მკვლევრები სხვადასხვანაირად კითხულობენ: „ელქატმონ, შოთაი, გამრეკელ, ავ[illegible]“ – პავლე ინგოროყვა. „შოთაი, გამრეკელ, ბეშქენ, ვარაზბაკუ[illegible]“ – ნიკო ბერძენიშვილი. პავლე ინგოროყვას ვარაუდით, ბარელიეფზე შეიძლება გამოსახული იყო შოთა რუსთაველი. ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ბარელიეფის ხასიათი და წარწერა თვით აძიკვის ასომთავრულ წარწერას უნდა უკავშირდებოდეს და იურიდიული აქტის – მიწის შეწირვის დამტკიცება-მოწმობას გამოხატავდეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამულიჩა: „ლელა უყვარს ხალხს და ესაა მთავარი“

მომღერალ ლელა წურწუმიას პრთდიუსერი და მეუღლე კახა მამულაშვილი – მამულიჩა საახალწლო კონცერტებზე მიწვევების თემას ეხმაურება:

– ეს თემა უკვე ძალიან ყელში ამოვიდა. საახალწლო კონცერტზე მოხვედრა-არმოხვედრა. ჩვენ არასოდეს არ გვაწუხებდა ეს საკითხი. თუ დაგვიძახებენ, მივალთ, თუ არა, არც ვკითხულობთ, რატომ. ლელა უყვარს ხალხს და ესაა მთავარი. ჩვენი კონცერტები სულ ანშლაგებით მიდის. ყოველ წელს ძალიან გადატვირთულები ვართ, და ამის მოწმეები ხართ. ამიტომ ეს საბოლოო კომენტარია. ყველა მუსიკოსს წარმატებები. წინასწარ გილოცავთ დამდეგ 2024-ს.

ნიკოს ბენდი ყაზახეთში დაჯილდოვეს

ტელეკომპანია „პოსტვ“-ის იუმორისტული გადაცემის „ნიკოს შოუს“ ბენდი ყაზახეთში დაჯილდოვეს.

მსახიობ ნიკო ნანიტაშვილის იუმორისტულ გადაცემას მუსიკალური ბენდი ჰყავს, რომლის წევრებიც თავად წამყვანი, ამიკო ჩოხარაძე და მანუ მურღულია არიან. ამ სამეულის მიერ შესრულებული სიმღერა „ქართული დისკო“ ყაზახეთის ტელევიზიამ საუკეთესო უცხოურ სიმღერად აღიარა.

ნიკოს ბენდი ალმა-ატაში მიიწვიეს, სადაც გალაკონცერტზე იმღერეს და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალშიც მიიღეს მონაწილეობა.

„გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ წლის წარმატებული ტელეპროექტია



საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დახურული გადაცემა „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ წლის წარმატებული ტელეპროექტის ჯილდოს მფლობელი გახდა. ჯილდო გადაცემამ ქართული ბრენდის დღის ღონისძიებაზე მიიღო.

დათო გორგილაძე:

– ცოტა კომიკური სიტუაციაა, გადაცემა, რომელიც დაჯილდოვდა, დახურულია. გმადლობთ, ამ ჯილდოსთვის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის სითბო, სიყვარული და მხარდაჭერა, რომელიც მივიღეთ მაყურებლისგან. ჩვენი გადაცემის დახურვა შეიძლება შევადაროთ მრავალსერიანი ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდის დასასრულს, როცა ეპიზოდი წყდება ყველაზე საინტერესო ადგილას და რა მოხდება, კაცმა არ იცის.

ნანი ბრეგვაძე „თბილისი პრაიდის“ ღონისძიებაზე აღარ იმღერებს

29 დეკემბერს „თბილისი პრაიდი“ გრანდიოზულ ღონისძიებას ჩაატარებს, რომელიც მომღერალ ნანი ბრეგვაძეს უნდა გაეხსნა. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, მომღერალს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა, ამიტომ ის ვეღარ იმღერებს:

– ვემზადებით თქვენთან ერთად ისტორიული, ჯადოსნური და დაუვიწყარი ღამის შესაქმნელად.

თუმცა, სტუმრებისთვის სამწუხარო სიახლე გვაქვს – ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ქალბატონი ნანი ბრეგვაძე ვეღარ გახსნის ღონისძიებას.

გვინდა უღრმესი მადლობა გადავუხადოთ და მალე გამოჯანმრთელება ვუსურვოთ ქალბატონ ნანის, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში მთელი გულით ემზადებოდა ჩვენთან შესახვედრად. ჩვენ ამ პროცესის თითოეულ ეტაპზე ვგრძნობდით მის გულწრფელ მხარდაჭერასა და სურვილს, რომ კიდევ ერთხელ დამდგარიყო სამართლიანობისა და სიყვარულის მხარეს.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ღონისძიება ჩვეულებრივ ტარდება. გპირდებით თავბრუდამხვევ, დაუვიწყარ და გასაოცარ ღამეს. თქვენთან ერთად ვაგრძელებთ ბრძოლას თანასწორობისა და თავისუფლებისთვის!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. ყურანის თითოეული თავი; 3. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 6. ნეფედედოფლის თანმხლები პირები; 9. დარიშხანის საბადო რაჭაში; 13. თვითმავალი მექანიკური სარკინიგზო ურიკა; 14. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. თაღლითი ბანქოს თამაშში; 17. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში.

თარაზულად: 1. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში; 5. სოხუმის ძველი სახელწოდება; 7. ძველებური ქართული ურითმო ლექსი; 8. თაღლითის, მატყუარას ძველი ქართული სახელწოდება; 10. სპირტიანი სასმელი; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 12. ღვინისა და დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 16. საგანგებოდ გამოყვანილი შებოლილი ღორის ხორცი; 17. ოქრო-ვერცხლით მოკაზმული ცხენის აღვირი; 19. რძის პროდუქტი; 21. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 22. ღვარძლიანი, შურიანი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 23. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 24. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა